

ბურის REGION

ყოველთვიური გამოცემა

ფასი 1.50 ლარი

№6, 2014, აგვისტო

გრიგოლეთის
საწვრთნელი
ბუზის
ისტორია

ლაშა მონისწრაფიშვილი - დაცული
ბერიტორიის სარეაბილიტაციო
მედიცინის პროფესორი

**კოდორითი ბურუნები -
მეუფე იოსებ კიკვაძე
და ჯონი ბარამიძე**

ჭელაფრეშის და მუცრეფრეშის აუზღეობა

პირველი ქართული ჟურნალი გურულებზე



REGION

ვერდი

ღანიბეჩელაზე მკითხველს მთავარად ჟურნალის გამოცემა
ღანძვიანობით რედაქციის საქონეებზე მოხდება

სასტუმრო ბანკონი

ბანკონის სტანდარტით



ჩავლილი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის ქრონიკა 2	რას ნიშნავს იყო გამარჯვებულ ქალთა უღუბის წევრი 14
ლოანჩხუთის ახალმონვევის საჯრებულომ საჯრებულოს ახალი თავმჯდომარე აირჩია 3	გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ჯომიტეტის პასუხი 15
ახალი ჯომისიის თავმჯდომარეები და 5 ფრაქცია ლოანჩხუთის საჯრებულოში 4	სასმენი აპარატების დანერგვა საქართველოში ზურაბ ქევანიშვილს უჯავშირდება 17
რამდენად ჯანონიერად განხორციელდა რეორგანიზაცია ლოანჩხუთში?! 5	ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯავარიძე-ქევანიშვილის ულონიკა 19
ნაბელავის ქარხანა 10 დღეში ამუშავდება 6	ციცინათელა 20
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჯრებულო გამგეობა დიდი შემცირებების მოლოდინში 7	რესტორანი მარგალიტი ზღვის პირას 22
მაშ ასე, სტარტი აღებულია 8	ქართული ტრადიციული მედიცინა 23
გამოცხადდება თუ არა დაცულ ტერიტორიად ბახმაროს შესასვლელოთან არსებული 2225 ჰა მიწა? 8	ყველას გირჩევთ, ნახოთ საქართველო 25
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯგუფი აგვისტოს თვეში გავა 9	ერთად დავდგეთ სიცოცხლის გადასარჩენად 26
ახალი საჯრორტო ზონა ჩაქვის ტერიტორიაზე 11	გურულო მომღერლებს მსმენელები ოვაციით შეხვდნენ 28
სად გაქრა გრიგოლეთის ბაზის ჯართი? 12	მსოფლიო პოლიფონიის ცენტრი 29
მხოლოდ თხილიდ და იუმორით გურია წინ ვერ წავა 13	მუსიკალური აზროვნების სიმაცლოები 30
	სწორედ აქ, ამ ქვეყანაში... 31
	ჩოხატაურის სამშენებლო სჯოლა 32
	ბახმაროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის უჯოესია 33

<p>ღაფუქნაბალი – ანა თოხაძე მთავარი რაღაქტორი – ლელა სურაშვა მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38 ტალ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01 უღფოსტა: Guriaregion14@mail.ru</p>	<p>აპირფასო აპითს ველფო! მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვეთ საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ფურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	---

რაღაქციანში შამოსული მასალაბის სიუხტაზა ჰასუხს აზაბს ავტორი, სოლო სარაელამო ბაქსტა ჰასუხისგვაბლოზა რაელამის შამაქვითს ეანისრაზა.

ჩაქვლილი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის მრეწიქა

ჩატარდა თუ არა დემოკრატიული არჩევნები ბურიაში?!



გაგა ურუშაძე

ლანჩხუთში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ჩატარდა, რომელშიც ერთმანეთს გამგებლობის კანდიდატები, „ქართული ოცნებიდან“ ზაზა ურუშაძე და „პატრიოტთა ალიანსიდან“ ბორის ჭყონია დაუპირისპირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატებსა და მათ მომხრეებს შორის ურთიერთდაპირისპირების ფაქტები ხშირად იყო, არჩევნების მეორე ტური, პირველის მსგავსად, მშვიდ გარემოში წარიმართა.

ამომრჩეველთა აქტივობა დილის 10 საათისთვის საკმაოდ მაღალი იყო და 29 918 ამომრჩეველიდან 3 363 შეადგენდა. 1 საათისთვის, ამომრჩეველთ, 25%-მა მისცა ხმა. უბნებზე სულ 7 507 ამომრჩეველი გამოცხადდა. ხოლო 7 სალამოს საათისთვის, 12 538-ზე მეტი ამომრჩეველი მივიდა.

20 საათისთვის, №61-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ლანჩხუთში მეორე ტურში საკუთარი არჩევანი 15 ათას 593 ამომრჩეველმა დააფიქსირა, რაც ამომრჩეველთა 52,12 %-ს შეადგენს.

რაც შეეხება დარღვევებს, აცანის №8 საარჩევნო უბანზე კენჭისყრა დილიდან დაძაბულ ფონზე მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას „ქართული ოცნებისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ მომხრეებს შორის.

ასევე, დილის 10 საათსა და 45 წუთზე №1 „აგარაკის“ უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებს ფოტოს გადაღების საშუალება არ მისცეს, რაზეც საჩივარი დაინერა, თუმცა პრობლემა მალე აღმოიფხვრა.

ლანჩხუთის ოლქში მეორე ტურის შედეგები უბნების მიხედვით ასე გადანაწილდა:

გამგებლობის კანდიდატები – №41 ზაზა ურუშაძე, №8 ბარნაბ ჭყონია

1 აგარაკი – 293: 304; 2 ქალაქი 308: 261; 3 ლაშისდელე – 354: 286; 4 ორაგვისდელე – 327: 249; 5 ზ/აკეთი – 126:125; 6 ქ/აკეთი – 192: 175; 7 ჭანჭათი – 176: 48; 8 აცანა – 263:329; 9 გვიმბალაური – 334:261; 10 ლესა – 290: 400; 11 მამათი – 355:138; 12 მაჩხვარეთი – 297: 209; 13 ორაგვე

– 33: 13; 14 არჩეული – 163: 88; 15 ნიგვზიანი – 187: 220; 16 ხაჯალია – 219: 109; 17 ნიგოთი – 184: 131; 18 ქვიანი – 325: 146; 19 – ჩოლობარგი 182: 57; 20 ჭყონაგორა – 151: 115; 21 ნინოშვილი – 143:200; 22 ახალსოფელი – 157:169; 23 ტაბანათი – 258:202; 24 ხიდმაღალა – 333:279; 25 ღრმა-ლელე – 357:204; 26 წყალმინდა – 342:86; 27 ზ/მუხუთი – 292: 224; 28 ზ/ჩიბათი – 201:104; 29 ქ/ჩიბათი – 223:215; 30 გულიანი – 150: 101; 31 მოედანი – 125:65; 32 შრომისუბანი – 168:155; 33 ჩოჩხათი – 153:137; 34 ხორეთი – 124: 88; 35 ჯურუყვეთი – 150: 190; 36 ენერი – 164: 130; 37 ქალაქი: 366: 323; 38 ქ/მუხუთი – 209: 189; სულ ურუშაძე 8 614 ჭყონია 6 725 ურუშაძე 55,2% ჭყონია 43,1 % მიიღო.

ლანჩხუთის ახალარჩეული გამგებელი ოფიციალურად მოვალეობის შესრულებას 29 ივნისს შეუდგა.

რაც შეეხება ოზურგეთს, მერობისთვის „ოცნებიდან“ ბეგი სიორიძემ და „პატრიოტთა ალიანსიდან“ შოთა გოგიბერიძემ.

ოზურგეთში ცამეტივე საარჩევნო უბანზე სიორიძემ მოიგო. თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში რეგისტრირებული ამომრჩეველებიდან 7 ათას 732-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც საერთო რაოდენობის 50,88%-ს პროცენტს შეადგენს.

ოზურგეთის არჩევნების შედეგები ასეთია: სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7 735 ამომრჩეველმა; აქედან სიორიძემ („ქართული ოცნება“) მიიღო 4 401 ხმა, გოგიბერიძემ (პატრიოტული ალიანსი“) 3 113; 211 ბიულეტენი გაბათილდა.

ზვანის პირველი – სიორიძე 387; გოგიბერიძე 281; **ზვანის მეორე –** სიორიძე 396; გოგიბერიძე 196; **რაიონის ცენტრალური –** სიორიძე 278; გოგიბერიძე 241;

მოიდანახე პირველი – სიორიძე 365; გოგიბერიძე 304; **მოიდანახე მეორე –** სიორიძე 300; გოგიბერიძე 210; **ცენტრის პირველი –** სიორიძე 413; გოგიბერიძე 268; **ცენტრის მეორე –** სიორიძე 368; გოგიბერიძე 258; **სერი სიორიძე –** 397; გოგიბერიძე 355; **ლაშეს პირველი –** სიორიძე 320; გოგიბერიძე 225; **ექადია –** სიორიძე 246; გოგიბერიძე; 177;

ცენტრის მესამე – სიორიძე 317; გოგიბერიძე 198; **ლაშეს მეორე –** სიორიძე 325; გოგიბერიძე 222; **ანასეული –** სიორიძე 272; გოგიბერიძე 193;

რაც შეეხება არჩევნების პროცესს, ოზურგეთში ლანჩხუთისგან განსხვავებით არც თუ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, მთელი დღე „პატრიოტთა ალიანსისა“ და „ოცნების“ მომხრეებს შორის მომხდარ ინციდენტების ფონზე მიმდინარეობდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ორი განსაკუთრებით აქტიური მხარდამჭერი „ქართული ოცნების“ მესვეურთ ჰპირდება – „ჯოჯოხეთს მოგიწყობთ“.

ოზურგეთელები დიდი ხანია ჯოჯოხეთში ცხოვრობენ. უბრალოდ, დღეს „ქართული ოცნება“ კუპრს ადულებს, კიდევ უფრო გაუსაძლისი რომ გახადოს ოზურგეთში ცხოვრება.

მეოცნებე „ნაციონალთა“ გაუგებარი შერწყმით გამონვეული ოზურგეთელთა ყოფა უფრო გაუსაძლისი გახდება. ხალხი აღშფოთებას ვერ ფარავს.

თუ ასე გაგრძელდა, ჯანყი გურიაში გარდაუვალია. – წერდა ფეისბუქ გვერდზე „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი, შოთა გოგიბერიძე.

„პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატის განცხადებით, ამომრჩეველი უზნებზე დაშინებითა და შანტაჟით მიჰყავდათ, მისივე თქმით განსაკუთრებული ზენოლა პატიმრის ოჯახის წევრებზე შეინიშნებოდა, რასაც სუს-ის თანამშრომლების გააქტიურებაც მოწმობდა „ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ:

– ოზურგეთში არჩევნების მეორე ტური „ოცნების“ დაშლილი კოალიციის შემორჩენილი აქტივისტების წრეგადსული აქტიურობით მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ საარჩევნო უზნების გახნისთანავე დაიწყეს წინასწარ დარეგისტრირებული ამომრჩევლის მიყვანა, რომელთა აღრიცხვას უზნების შორიასხლოს მდგარ მიკროავტობუსებში მოკალათებული კოორდინატორები აწარმოებენ.

როგორც ამბობენ, ხშირ შემთხვევაში ადამიანები იძულებით, დაშინებით და შანტაჟით მიჰყავთ საარჩევნო უზნებთან. ეს ის ადამიანებია, რომელთაც გარკვეული პრობლემები აქვთ. ძირითადად, პატიმართა ოჯახის წევრები არიან გამოუვალ მდგომარეობაში. ოცნების კანდიდატი, ყოველი მსგავსი ინფორმაციის გავრცელებისას აცხადებდა პროვოკაციას მიწყობენო. – მას მიაჩნდა თავის მსგავსი მართლებით დააჯერებდა ხალხს ტყუილების კასკადს.

ფაქტების დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ოზურგეთში განვლილი კვირის განმავლობაში აშკარად შესამჩნევი იყო სუს-ის თანამშრომელთა აქტიურობა ოცნების



კანდიდატის სასარგებლოდ. არჩევნები ჯერ-ჯერობით გაურკვეველ ვითარებაში მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად არ არის დემოკრატიული არჩევნები!

– წერდა არჩევნების დღეს გოგიბერიძე. თავის მხრივ გოგიბერიძის შტაბის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებდა სიორიძის საარჩევნო შტაბი და აცხადებდნენ, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროვოკაცია იყო „ოცნების“ შტაბში ამბობდნენ, რომ გოგიბერიძის შტაბი ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, რისი მტკიცებულებაც არ გააჩნდათ. სიორიძის შტაბი გოგიბერიძის შტაბს თავმეკავებისკენ მოუწოდებდა.

ნინო ონიანი

ლანჩუთის ახალმონვევის საკრებულო საკრებულოს ახალი თავმჯდომარე აირჩია



ლანჩუთის მუნიციპალიტეტში, საკრებულოს პირველი სხდომა 14 ივლისს გაიმართა, ლანჩუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ნაკაიძემ მოხსენება გააკეთა, რის შემდეგ სხდომა ომარ გოგიჩაიშვილმა წარმართა. აირჩიეს ხმის დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიები. შემდეგ კი საკრებულოს წევრების უფლებამოსილების საკითხის ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ესენია: ელენე ნაჭყებია („ქართული ოცნება“), ელგუჯა ჩხაიძე (ქართული ოცნება“), გიორგი ხელაძე („ქართული ოცნება“), რომან ბინაძე („ქართული

ოცნება“), ია ჩხაიძე („ქართული ოცნება“), გელა კილაძე („ქართული ოცნება“), ამირან ქანთარია („ქართული ოცნება“), გიორგი ჩახვაძე („ქართული ოცნება“), კახაბერ გუჯაბიძე („ქართული ოცნება“), ომარ გოგიჩაიშვილი („დავით თარხან-მოურავი – საქ.პატრიოტთა ალიანსი“), დარეჯან ბურჭულაძე („დავით თარხან-მოურავი – საქ.პატრიოტთა ალიანსი“), ადამ ხუხუნაიშვილი („დავით თარხან-მოურავი – საქ.პატრიოტთა ალიანსი“), კახაბერ ასკურავა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გიორგი გოგუაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ნონა მურვანიძე („ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), ევგენი ჩიჩუა (საინიციატივო ჯგუფი, ქალაქის მაჟორიტარი), გიორგი მორჩილაძე (არასაპარლამენტო ოპოზიცია, აკეთის მაჟორიტარი), ნიკოლოზ იმნაძე (საინიციატივო ჯგუფი, გვიმბალაურის მაჟორიტარი), ემზარ თევდორაძე (საინიციატივო ჯგუფი, აცანის მაჟორიტარი), ელისო ჭიჭინაძე („ქართული ოცნება“, ლესის მაჟორიტარი), კახა ურუშაძე („ქართული ოცნება“, მამათის მაჟორიტარი), გურამ კერესელიძე („ქართული ოცნება“, მაჩხვარეთის მაჟორიტარი), ბესიკ ტაბიძე („ქართული ოცნება“, ნიგვზიანის მაჟორიტარი), თეიმურაზ ალექსაია („ქართული ოცნება“, ნიგოითის მაჟორიტარი), დავით ჩხარტიშვილი („ქართული ოცნება“, ნინოშვილის მაჟორიტარი), ჯუმბერ ბლაგიძე (საინიციატივო ჯგუფი, სუფსის მაჟორიტარი), თეიმურაზ მარშანიშვილი („ქართული ოცნება“, ღრმალელის მაჟორიტარი), აკაკი იმნაიშვი-



ლი („ქართული ოცნება“, შუხუთის მაჟორიტარი), იოსებ სარჯველაძე („ქართული ოცნება“, ჩიბათის მაჟორიტარი), ალექსანდრე სარიშვილი („ქართული ოცნება“, ჩოჩხათის მაჟორიტარი), ალექსანდრე მახათაძე („ქართული ოცნება“, ჯურუყვეთის მაჟორიტარი).

შემდეგ კი საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ საკრებულოს თავმჯდომარე აირჩია. თუმცა, მანამდე დიდხანს მსჯელობდნენ თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ახალი საკრებულოს თავმჯდომარე, კულუარული ინფორმაციით საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, გიორგი ხელაძე, სიის ხუთეულში მყოფი ია ჩხაიძე, გელა კილაძე, ასევე აცანის დამოუკიდებელი

მაჟორიტარი, ემზარ თედორაძე და ყოფილი გამგებელი, გია გოგუაძე იბრძობებდნენ. უამრავი ვერსიის მიუხედავად, საკრებულოს თავმჯდომარეობა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს, გიორგი ხელაძეს ხვდა წილად, რომელმაც კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარის დასახელებისას ხმები ორ ნაწილად გაიყო, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და მასში შემავალმა პარტიებმა დაასახელეს გიორგი ხელაძე, ხოლო „პატრიოტთა ალიანსმა“ დარეჯან ბურჭულაძემ, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ ნონა მურვანიძემ და დამოუკიდებელი კანდიდატების ჯგუფის სახელით საკრებულოს წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ წამოაყენეს ემზარ თედორაძის კანდიდატურა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობა გიორგი ხელაძემ (21 ხმა) მოიპოვა, ხოლო ემზარ თედორაძემ – 9 ხმა მიიღო. ერთი ბიულეტენი ბათილად ცნეს. სწორედ გიორგი ხელაძის მიერ იქნა დასახელებული მის მოადგილედ გელა კილაძე, რომელიც ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად აირჩიეს.

რაც შეეხება ძველ თავმჯდომარეს, ამირან გიგინეიშვილს, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ იქნა არჩეული, სამოქალაქო სექტორში გადავიდა.

ნინო ონიანი

ახალი კომისიის თავმჯდომარეობა და 5 შინაგანი დანახუთის საქმეებში

24 ივლისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხები საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ გააცნო.

პირველ საკითხზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გელა კილაძემ ისაუბრა. მისი თქმით, – რეგლამენტის პროექტზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი მუშაობდა. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. განვიხილეთ და შევთანხმდით რეგლამენტის ძირითად პრინციპებზე. დეპუტატების მხრიდან რამდენიმე მუხლის ირგვლივ გამოთქმული იყო მოსაზრებები და შენიშვნები, რომელთა უმრავლესობას იქვე გაეცა შესაბამისი პასუხები და მიეცათ განმარტებები. ხოლო ბატონებმა ჯუმბერ ბლაგიძემ და გიორგი გოგუაძემ შემოიტანეს წერილობითი შენიშვნები. კერძოდ, ბატონი ჯუმბერ ბლაგიძის შენიშვნას საკრებულოს ფრაქციაში კონსულტანტების მონაწილესთან დაკავშირებით, ვერ გავიზიარებთ. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 31-ე მუხლს, რომლის თანახმადაც საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. ამასთან, ექსპერტ-კონსულტანტების მონაწილე შესაძლებელია მხოლოდ საკრებულოს კომისიებში.

რაც შეეხება ბატონი გია გოგუაძის შენიშვნას, მისი პოზიციაა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავდეს ორი მოადგილე. მიგვაჩნია, რომ ამ დროისთვის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების



შესრულება სრულიად შესაძლებელია ერთი მოადგილის პირობებში და ამდენად ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ“.

რაც შეეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს, ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარეები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ **რომან ბინაძე** აირჩიეს.

საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად აირჩიეს **ალექსანდრე სარიშვილი** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.



გამო განთავისუფლდეს სამსახურიდან ესა და ეს საჯარო მოხელე. გამოდის, რომ მოხდა შემდეგი რამ: „მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დანესებულების ლიკვიდაციის გამო“ (კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 96.1.). თუ რას ნიშნავს დანესებულება, განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით. ეს არის კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ტერიტორიული ორგანოები არასოდეს არ ყოფილან დანესებულებები (იყვნენ მხოლოდ სტრუქტურული ერთეულები). დანესებულებას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა. შესაბამისად, დანესებულების არ არსებული ლიკვიდაციის გამო თანამშრომელთა გაშვება არაკანონიერია. ტერიტორიულ ორგანოებს შეეცვალათ სა-

ხელი და ახალი კოდექსით ეწოდებათ ადმინისტრაციული ერთეული. ეს რეორგანიზაციაა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96.2.-ის შესაბამისად, „დანესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელეთა გასანთავისუფლებლად. როდესაც დანესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან“. ასეთ შემთხვევაში, მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს მოსალოდნელი შემცირების შესახებ, რაც არ მომხდარა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ დაუმტკიცებია ახალი საშტატო განრიგი და უცნობია თუ ვის შეეხება შემცირება“.

რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს, მაგრამ არა კანონდარღვევით.

ამირან გიგინეიშვილი თან ერთ-ერთი სამსახურის სპეციალისტის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას აქვეყნებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიიჩნევს, რომ რეორგანიზაციის პროცესი კანონის ფარგლებში განხორციელდა:


ახალი კოდექსის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის შესაბამისად მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, გამგებელი 3 აგვისტოდან უფლებამოსილი იქნება და ამ დროში ცნობილი გახდება რეორგანიზაციის შედეგი. ახალი კანონის შესაბამისად ყველა სოფლის რწმუნებული გათავისუფლებულია და დაინიშნება გამგებლის წარმომადგენლები სოფლის ტერიტორიულ ერთეულში. ყველაფერი მოხდა კანონის შესაბამისად და არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. – აცხადებს გამგებლის პრესსამსახურის მოვალეობის შემსრულებელი – მაკა სულაბერიძე.

სტიქია ბურიაში

ნაბელავის ქარხანა 10 დღეში აშუშავდება

28 ივლისს გადაუღებელი წვიმის შედეგად ჩოხატაურის მაღალმთიანი სოფლები დაზარალდა. ძლიერ წვიმას მენყერიც დაერთო. სოფელ ჩხაკოურასთან ახლოს ზვაფი წამოვიდა, რის შედეგად ელექტროგადამცემი ბოძი წაიქცა, ბახმაროს ელექტრო-ენერჯის მინოდება შეუწყდა. კურორტის დირექტორის დავით საჯაიას განცხადებით, დღის ბოლოს სრულად აღდგა.

ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს დიდი ზარალი მიადგა. განსაკუთრებით სოფელი ნაბელავი დაზარალდა, დაზიანდა გზები, საცხოვრებელი სახლები, მენყერი კომპანია **წყალი მარგებლის** ერთ-ერთი ქაბურღილთან ჩამოწვა. ჩვენ კომ-



პანიის პიარ მენეჯერს ვიქტორია ფიფკოს დაუკავშირდით – სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი დიდა, რომლის სრულად აღმოფხვრას საკმაო დრო დასჭირდება. ქარხნის მიმდებარე ტერიტორია სტიქიამ წააღწია. ქაბურღილები და სხვა შენობები მინაშია ჩაფლული. ამ ეტაპზე მუშაობა შეჩერებულია. ჩვენი პროდუქციის მომხმარებელს ვაცნობებთ, ბაზარზე საკმაო მარაგები გვაქვს და ისინი რაიმე ცვლილებას ვერ იგრძნობენ. რამდენიმე დღეში ქარხანა ისევ ამოქმედდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სტიქიის აღმოფხვრის სამუშაოები ჩაატარა და მიყენებულ ზარალს ითვლის.

ლელა სურმავა

როსატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ბაზაში დიდი მუშაობის მოლოდინში

რას ფიქრობს ხალხი საქართველოში თვითმმართველობის არჩევნებზე ჩაიარა. გამგებლების, მერების და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიც გამარჯვებულმა კანდიდატებმა ჩაიბარეს. როსატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე გახდა, მუნიციპალიტეტის გამგებელი კი – ირაკლი კუჭავა. ხალხი ხელისუფლების ახალ წევრებზე დიდ იმედებს ამყარებს, თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც მაინც ხელის ჩაქნევით ამბობს: „არაფერიც არ შეიცვლება“...

ამ დროისთვის, გამგეობაში რამდენიმე სამსახური გაერთიანდა და ახალი ხელმძღვანელები დაინიშნა. სამსახურებიდან გათავისუფლებულნი არიან სოფლის რწმუნებულებიც, სავარაუდოდ, აგვისტოს დასაწყისში მოხდება მათი შერჩევა და დანიშვნაც.

ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, როსატაურის გამგეობა-საკრებულოში მომუშავეთა რიცხვი 90-ს უნდა შეადგენდეს, შესაძლებელია 9 თანამშრომლის ხელშეკრულებით აყვანაც. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად როსატაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურში 200 ადამიანია დასაქმებული.

რას ფიქრობენ როსატაურელები ახალ ხელისუფლებაზე და როგორ უყურებენ მოსალოდნელ შემცირებებს, ჩვენი გამოკითხვით შეიტყობთ.

მარინა, 45 წლის: მივესალმები ახალარჩეულ ხელისუფლებას. იქნება, ამათმა მაინც გვიშველონ.

გაიოზი, 37 წლის: ორივე ძალიან კარგი, განათლებული პიროვნებაა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

თამარი, 27 წლის: თუ ძველი, ბიუჯეტის ჭამაში განაფული ხალხი არ ჩამოიშორეს, არაფერი გამოუვათ. რაც არ უნდა პატიოსნები იყვნენ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე, თუ გვერდით ჭამას მიჩვეული ხალხი დაიყენეს, ვერაფერს გახდებიან.

გოჩა, 56 წლის: ვიცი, ხალხს ამცირებენ. იმაზე თუ იფიქრა ვინმემ, სად უშვებენ? ან ვის უშვებენ? ვისით ანაც-

ვლებენ? რა ეშველება შემცირებული ხალხის უკან მდგომ ოჯახებს?

გიორგი, 21 წლის: იქნება, გამომართლოს და სადმე დამაწყებინონ სამსახური. იმედი მაქვს, ვნახოთ.

ლიკა, 20 წლის: ნეტა, ახალგაზრდებზე ამათმა მაინც იზრუნონ. არავის ვაინტერესებდით. ან კინო გააკეთონ, ან რამე... კიდევ ერთს ვიტყვი, ახალგაზრდული საქმეები, ახალგაზრდებს მიანდონ, ჭკვიან ახალგაზრდებს, რადგან უფრო გაგვიგებს და იზრუნებს ჩვენს გართობაზე.

მერაბი, 67 წლის: ძალიან ვაფასებ კუჭავასაც და მამალაძესაც. მჯერა, რომ როსატაურისთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებენ.

დავითი, 56 წლის: რას გეტყვი, ბიძი, იცი, არაფერი არ შეიცვლება. ვინც კარგად იყო ამდენი ხნის განმავლობაში, ისევ ის იქნება კარგად. აბა, ჩვენ ვინ რას გვეკითხება, ვინ მოგვხედავს. არ დაიჯერო...

დალი, 44 წლის: ამ ბოლოს, ისეთი რამეები გავიგე, არ მჯერა, რამეს გამოსწორება შეძლონ ამათმა. ყველას ძალიან ვაფასებ, მაგრამ თბილისიდან, გუბერნიიდან, პარლამენტიდან რომ დაგირეკავენ და ესა და ეს დანიშნენ, ამა და ამ ადგილზე გეტყვიან და თან იმ კაცზე, რომელიც ამდენი წლის განმავლობაშიც ხრავდა რაიონს, ვერაფერს გახდებიან პატიოსანი ადამიანები.

მარინა, 39 წლის: გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე ორივე კარგი პიროვნებაა და ალბათ, მიხედავენ რაიონს და ხალხს. ისინი მაინც იზრუნებენ ჩვენზე.

ჯუბა, 45 წლის: აჯობებს, არაფერი ვთქვა არავისზე. არამგონია, ის დრო იყოს, როცა სიმართლის თქმისთვის, არავინ მოგხსნის სამსახურიდან. ჯერ ბევრი გვიკლია იქამდე.

მანანა, 66 წლის: ვინც ახლა ზის გამგეობა-საკრებულოში, ყველას პატრონი ჰყავს და გჯერა, შენ მათ გაუშვებენ სახლში? ისევ უპატრონოს მოუწევს სამსახურის დატოვება.

ია ტაკიძე



მაშ ასე, სტარტი აღებულია

იმისათვის რომ პოლიტიკოსებმა გემსახურონ, თქვენ ისინი უნდა აირჩიონ – ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიის წინ მმართველი გუნდის მხარდამჭერებს მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან – წარმომადგენლობით ორგანოში, საკრებულოში მრავალპარტიულობის გარეშე პლურალისტური გარემო ვერ შეიქმნება და დემოკრატიულ განვითარებაზე საუბარი ზედმეტიაო.

ხალხში ისმის კითხვა – ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ელიტა ზრუნავს ხელისუფლების რეალურ დანაწევრებაზე, გვაქვს რეალური თვითმმართველობა, თავისუფალი სასამართლო, მედია, ბიზნესი, რაც მთავარია, საზოგადოება არის რეალური ცვლილებების თანამონაწილე? თუ პოლიტიკოსები ცდილობენ თავს მოახვიონ ძალაუფლება, რომლის მუხრუჭები მხოლოდ ხალხის კონტროლია. ადგილობრივ დონეზე მათ უნდა შეძლონ

საკუთარი და სხვა უფლებების რეალიზება. ერთ დღეს, მართალია, ქვეყანა არ აშენდება. „ენახოთ“, „დაველოდოთ“ – ხალხში სმირად მოგვისმენია. ვის იმედად უნდა იყვნენ ისინი?!

ჩოხატაურის საკრებულოს წევრები შეიკრიბნენ და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. ჩვენც დავუსვით კითხვა, აქვთ თუ არა სურვილი გამოიკვლიონ წინამორბედმა საკრებულოს თავმჯდომარემ, ანტონ ხუნდაძემ როგორ განკარგა, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ხალხის კუთვნილი 5 მილიონი ლარი, რომელიც სს ლიბერთი ბანკთან დადებული ხელშეკრულებით მოიპოვა. ამ თემაზე განცალკევებით რა ისაუბრეს გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და ყოფილმა საკრებულოს თავმჯდომარემ. იყო თუ არა საუბრის მთავარი თემა ჩოხატაურის თვითმმართველი ორგანოს საკრებულოს ცენტრალური ხელისუფლებიდან ეკონომიკური დეცენტრალიზაცია. გურიის ერთ-ერთ მედიასაშუალებაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიმართ ღიად მიმდინარეობს

დაპირისპირება. ჩვენ ანტაგონისტურად არ ვართ განწყობილი, ვიქნებით მიუკერძოებელი და კვლევას ისევ გავგრძელებთ.

მომავალი საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური კონტურები იკვეთება, საკითხავია რთულ სოციალურ მდგომარეობაში მყოფებს კანონმემოქმედებზე და არა კარგ მეურნეებზე ფიქრის უნარი თუ შემორჩათ.

მაშ ასე, სტარტი აღებულია. სამივე მუნიციპალიტეტში ჩვენ ყველა პერსონით დავინტერესდებით, რას ნიშნავს „გავლენიანი გურულობა“ და აისახება თუ არა ეს ადგილობრივების მატერიალურ კეთილდღეობაზე. რთულია დასუსტებულებს საკუთარი უფლებების დაცვა მოთხოვო. ამიტომ მედიასაშუალებამ გზამკვლევის როლი შეასრულოს და ყველა მოვლენა ობიექტურად ასახოს.

იმისთვის რომ პოლიტიკოსებმა გემსახურონ, ისინი უნდა აირჩიონ. მათ მიმართ მომთხოვნიც იყოთ, რადგან გარკვეული ვადით დაიქირავეთ.

ლელა სურმავა

გამოსხადება თუ არა დასუდ ტერიტორიად ბახმაროს შესასვლელთან არსებული 2225 ჰა მიწა?



მონღოს მუხა

ტყეში ხის მოჭრაზე და ნაბლის მოძებნაზეც გადასახადები დაგვინესონ ბარემ.

დაცული ტერიტორია, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცული იყოს აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა. მისი კატეგორიება – სახელმწიფო ნაკრძალი, ალკვეთილი ან მიწის სხვა ფართი.

საქართველოში პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, შეიქმნა 1912 წელს. დღესდღეობით დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 495


892 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია. საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 12 ალკვეთილი, 14 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია.

სამწუხაროდ, არცერთი დაცული ტერიტორია არ გვაქვს გურიამი. მხოლოდ ახლა მიდის საუბარი ბახმაროს შესასვლელთან, 2225 ჰა მიწის ფართობზე, სადაც გადაჭიმულია პონტოს მუხის ხის კორომი. პონტოს მუხა წითელ წიგნში შეტანილი, გადაშენების პირას მყოფი მცენარეა და ნამდვილად სჭირდება დაცვა.

რას ნიშნავს, მუნიციპალიტეტში იყოს დაცული ტერიტორია – სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტების განხორციელებას ადგილზე, ტურისტების მოდინებას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების მოზიდვას და მისი სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას.

რიგით ჩოხატაურელებთან საუბრისას, გავარკვეეთ, რომ უმრავლესობას, წარმოდგენა არ აქვს, რას ნიშნავს დაცული ტერიტორია. მათ მხოლოდ ბორჯომ-ხარაგაულის ან ლაგოდეხის ნაკრძალი იცინან... ასევე ვერ წარმოუდგენიათ გურიამი, რომელი ტერიტორია შეიძლება გამოცხადდეს დაცულად.

– თუ ტერიტორია ნაკრძალად გამოცხადდება, იქ ნადირობა აკრძალდება. ვერც მწყერზე ვინადირებთ, ვერც ვითევზავებთ, ხეს ვერ მოვჭრით, ზამთარში კი შემით ვთბებით.



რაში გვარგია, ეს? – მითხრეს ადგილობრივებმა.

– საინტერესოა, რომელი ტერიტორიის გამოცხადებას აპირებენ, მაგალითად ჩოხატაურში ნაკრძალად? ადგილობრივებსაც გვკითხონ რამე.

– მწყერზე ვნადირობთ ხოლმე სეზონზე და ახლა ესეც აგვიკრძალონ. ან ტყეში ხის მოჭრაზე და ნაბლის მოძებნაზეც გადასახადები დაგვინესონ ბარემ.

– ყველა დაცული ტერიტორია იმართება მენეჯმენტის გეგმით, სადაც განისაზღვრება ზონირებები. ტრადიციული გამოყენების ზონა, ეს ის ტერიტორიაა, სადაც ეროვნული პარკის შექმნამდე, ადამიანი თიბავდა, შეუბამოქონდა, კენკრას მოიპოვებდა... მეცნიერული შესწავლის შემდეგ მენეჯმენტის გეგმა ადგილობრივებთან შეთანხმებით შეიქმნება. კანონში არის ჩანერილი – დაცული ტერიტორიის შექმნაში ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან ყველაზე კარგად მათ იციან სად რა ხდება. ისინი ფიქრობენ, რომ დაცული ტერიტორია მხოლოდ ნაკრძალია და იქ შესვლა შეზღუდულია, რაც მცდარი ინფორმაციაა – ამბობს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მოისნრაფიშვილი.

იმისთვის, რომ მოსახლეობა კარგად ჩასწვდეს დაცული ტერიტორიების არსს, საჭიროა მათთან მუდმივი კონსულტაციები, შეხვედრები და სემინარები ამ თემაზე. გლახმა უნდა იცოდეს, სად რა იქნება, რა დაერქმევა და რა სარგებლობას მოუტანს მას.

ია ტაკიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯგუფი აგვისტოს თვეში გავა

გურია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა საზოგადოებაში დაცული ტერიტორია აკრძალვასთან ასოცირდება. ჩვენ ბახმაროს შესასვლელთან არსებული პონტოს მუხის ხის კორომები დავათვალიერეთ. ასევე პალიასტომის ტბის მახლობლად მცხოვრებ მეთევზეებს გავესაუბრეთ. დავეპირდით, ჟურნალის მომდევნო ნომერში დაცული ტერიტორიის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მოისნრაფიშვილი კიდევ მოგვითრობს, ადგილობრივებისთვის რა დადებითი ფაქტორია სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფილი დაცული ტერიტორია. ჟურნალმა გურიაREGION-მა მედიასივრცეში პირველებმა გავახმოვანეთ არსებული ტერიტორიის საერთაშორისო აღიარების საკითხი. გვსურს, ხალხსა და შესაბამის სამსახურს შორის შუამავლის როლს შევასრულოთ.

– ჩვენ დანვრილებით უნდა ავუხსნათ საზოგადოებას რა არის დაცული ტერიტორია და მისი დადებითი მხარეები.

– დაცული ტერიტორიების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია წარმოადგენილია დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონში, სადაც აღნიშნულია რომ დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით.

– დაცული ტერიტორიების შექმნა ხელს უწყობს ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ველური ბუნების შენარჩუნებას, მათ პოპულარიზაციას, ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასა და რაც მთავარია, აღნიშნული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები ადგილობრივ მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე დაცული ტერიტორიის არსებობა ხელს უწყობს რეგიონის საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციას.

– რომელი კატეგორიაა ადგილობრივებისთვის ყველაზე ხელსაყრელი?

– მსოფლიოში დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია ეროვნული პარკის სტატუსის მქონე მრავალფუნქციონალური მნიშვნელობის დაცული ტერიტორიის შექმნა. ეროვნული პარკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების დამზოგავი სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება. პარკის შექმნა ხელს უწყობს ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისა და ხალხური შემოქმედების დაცვას, აღდგენასა და განვითარებას თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შესანარჩუნებლად. ეს ეკო და აგრო ტურიზმის განავითარებს, რის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ეროვნული პარკის გარკვეულ ნაწილში დაშვებულია განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

– ბახმაროს შესასვლელთან როდის გადის სამეცნიერო ჯგუფი?

– ბახმაროს ახლოს პონტოს მუხის კორომები მეცნიერების მიერ მრავალჯერ იქნა შესწავლილი, რის საფუძველზეც შერჩეულია ადგილი და სავარაუდო საზღვრები დაცული ტერიტორიების შესაქმნელად, რომლის დაახლოებით 2225 ჰა-ია. ჯგუფის გასვლა დაგეგმილია აგვისტოს თვეში.

– რომელ კატეგორიას მიაკუთვნებთ?

– დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიზანია ყოველი ახალი დაცული ტერიტორიის დაგეგმვისა და მისი შექმნის

ყველა პროცესი განხილულ იქნას ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. ამ ეტაპზე კატეგორიის მინიჭების საკითხის დასმა ნაადრევად მიგვაჩნია. მას შემდეგ უნდა განისაზღვროს, როცა ადგილობრივ მოსახლეობასთან და შესაბამის მუნიციპალიტეტთან დაცული ტერიტორიის დაარსების საკითხის განხილვა დასრულდება.

- თქვენ ისაუბრეთ, ამ ადგილმა შესაძლოა საერთაშორისო აღიარება მოიპოვოს. რა ეტაპზეა ეს პროცესი?

- სანამ აღნიშნული ტერიტორია საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს, მას დაცული ტერიტორიის სტატუსი უნდა მიენიჭოს. შესაბამისი მენეჯმენტის არსებობისა და იქ არსებული ბიომრავალფეროვნების უნიკალურობიდან გამომდინარე შესაძლებელია საერთაშორისო სტატუსის მიენიჭოს.

- გურიის სამივე მუნიციპალიტეტში რთული ეკონომიკური მდგომარეობაა, ხალხი ძირითადად საჯარო სამსახურებში არის დასაქმებული. კერძო სექტორის განვითარება და ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა საგანმანათლებლო პროცესებზე დამოკიდებული. რა სტრატეგია აქვს დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოს?

- დაცული ტერიტორიების შექმნის შემთხვევაში მოსახლეობა ადინისტრაციაში დასაქმდება. იქ სადაც განვითარებულია ეკო-ტურისტული მოსახურება, ადგილობრივი მოსახლეობისგან დასაქმებულები არიან გამყოლები, გიდები, ცხენის მეპატრონეები, საოჯახო სასტუმროს მფლობელები, კვების ობიექტების მეპატრონეები. ასევე ვიზიტორები ადგილობრივი მოსახლეობისგან ყიდულობენ მათ მიერ ნაწარმ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რაც გარკვეულ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მასშტაბები დაცულ ტერიტორიაზე მოსულ ვიზიტორებზე დამოკიდებული.

- რა დადებითი ფაქტორია ჩოხატაურისთვის იმ მონაკვეთის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება?

- დაცული ტერიტორიის დაარსება ხელს შეუწყობს არსებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნების. გარდა ამისა მისი შექმნის ერთ-ერთი მიზანია ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრის შექმნა - სალაშქრო, საცხენოსნო ბილიკების მოწყობა, საკემპინგე, საპიკნიკე და ღამის სათევი ადგილები. სპეციალური ბილიკების შექმნის შემდგომ ვიზიტორებს ბუნებისა და ლანდშაფტების დათვალიერების საშუალება ექნებათ. ასე-



ვე მოეწყობა საგანმანათლებლო და კულტურული ტურები, რა დროსაც შესაძლებელი იქნება ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის გაცნობა ვიზიტორებისათვის. გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები, შეიქმნება ახალი საოჯახო სასტუმროები, განვითარდება კვების ობიექტები, ადგილობრივი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა, გაიზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს.

- ხალხი ფიქრობს, რომ თქვენი აქტივობა მხოლოდ უცხოელი ტურისტების მიზიდვას ისახავს მიზნად.

- დაცული ტერიტორიის შექმნის ერთ-ერთი მიზანია ტურისტული საქმიანობის განხორციელება და ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების მოქალაქეებისათვის დაცული ტერიტორიების მონახულება, სამეცნიერო კვლევის, საგანმანათლებლო მიზნით და რეკრეაციული მიზნით შესვლა ნებადართული იქნება. დაცული ტერიტორიები იქმნება, როგორ ქართველი, ასევე უცხოელი ვიზიტორების მოსაზიდად.

- პალიასტომის ტბასთან მეთევზეების ნახვა ძალიან გაგვიჭირდა, შიშის ფაქტორი დავინახეთ, სოფელ გრიგოლეთში ვერ მოვახერხეთ სტაროვერებთან გასაუბრება, ქვირილობის დროს ისინი ვერსად ვიპოვეთ.

- კოლხეთის ეროვნული პარკის ირგვლივ მოსახლეობისთვის პირადი საჭიროებისათვის ნებადართულია თევზჭერა (აპრილი-სექტემბრის გარდა) იმ სახეობებზე, რომლებიც არ წარმოადგენს საქართველოს „ნითელი ნუსხის“ სახეობასა და ლოკალურ ენდემს, გარდა ამისა კანონის თანახმად ნებადართულია სპორტული თევზაობა. რაც შეეხება ქვირილობას, მოსახლეობისათვის სრულიად ნათელია, რომ ამ დროს არ შეიძლება თევზაობა, რადგან ხელი არ უნდა შეემალოს თევზის ქვირილობასა და მის გამრავლებას.

- ნინოშვილის დასახლებაში მხოლოდ ქალბატონები გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთმა მეთევზემ გვითხრა - მე რომ სიმართლე ვთქვა, სათევზაოდ საერთოდ არ გამიშვებენ. პალიასტომზე არა მარტო „ზაპრეტის“ დროს, საერთოდ არ გვშვებენ. დიდი ჯარიმებია, დაახლოებით 2000-დან 4000-ლარამდე. თქვენი კონტრარგუმენტი და როგორ პრევენციები ტარდება ბრაკონიერების წინააღმდეგ? ადგილობრივები ჰყვებიან, რომ თევზი ტბაში აღარ არის, ამიტომ თევზაობასაც არ აქვს აზრი.

- პალიასტომის ტბა წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენელ ნაწილს, სადაც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის 423 დადგენილების „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური



რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პალიასტომის ტბაზე თევზჭერა შეზღუდულია მხოლოდ: კეფალი-პილენგასი – 1 მაისიდან 1 ივლისამდე, ოქროსფერი კეფალი – 1 მაისიდან 1 ივლისამდე, ქარიყლაპია – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, შავი ზღვის ქაშაყი – 1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე და 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, შემაია – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, მცირე ვიშა – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, კარჩხანა – 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე, კობრი – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, ლოქო – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე და 1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე, ღორჯო (მდევარი) – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, მრგვალი ღორჯო – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, შავი ღორჯო – 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე. აღნიშნული ვადების გარდა წლის ნებისმიერ დროს შესაძლებელია ლიმიტირებული თევზჭერა იმ სახეობებზე რომლებიც არ განეკუთვნებიან წითელი წუსხისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფებს სახეობებზე. იმ შემთხვევაში თუ მეთევზეები არ იცავენ აღნიშნულ წესებს, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერები ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებას. რაც შეეხება ტბაში თევზის შემცირებას, ამას ბევრი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ტბაში ძირითად მასას ქმნის გამსვლელი თევზები და თევზების რაოდენობრივ მაჩვენებელს ეროვნული

პარკი ნაკლებად განსაზღვრავს.
 – ნინოშვილის დასახლებაში 3000 ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად თურქეთში ჩაის პლანტაციებში დადიან სამუშაოდ. სხვა საარსებო საშუალება არა აქვთ. ისინი ყურადღებას და დახმარებას ითხოვენ. ჩვენ დავპირდით, მათ გასაჭირს თქვენამდე მოვიტანთ.

– უშუალოდ კოლხეთის ეროვნულ პარკში დასაქმებულია რამდენიმე ადამიანი. გარდა ამისა ადმინისტრაცია ვიზიტორებზე ეკო-ტურისტული სერვისების შეთავაზებისას, ასევე სთავაზობს ადგილობრივ მოსახლეობაში არსებულ საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა. ვიზიტორები ადგილობრივი მოსახლეობისგან ყიდულობენ მათ მიერ ნაწარმ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. აღნიშნული აქტივობით ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ცდილობს, დაასაქმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რაც გარკვეულ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

ცხადია, ეროვნულ პარკში იმ რაოდენობის ადამიანების დასაქმება რთულია, მაგრამ სააგენტოსათვის მნიშვნელოვანია, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით დაცული ტერიტორიების მიმდებარე მცხოვრებმა მოსახლეობამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს.

ლელა სურმავა

ახალი საკურორტო ზონა ჩაქვის ტერიტორიაზე

აჭარაში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, ახალი საკურორტო ზონის განვითარება დაიწყო. საკურორტო ზონა და მისთვის აუცილებელი სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, სასტუმრო „ოაზისი“ ირგვლივ განვითარდება და მასში სასტუმროს ტიპის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისით აღჭურვილი საცხოვრებელი სახლები განთავსდება. შენდება 21 მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, 3 ლია და 1 დახურული აუზი, აკვაპარკი, კორტები, მოედნები. საერთო ჯამში მივიღებთ 1000 სასტუმროს ტიპის ბინას. სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

განახლებული სასტუმრო „ოაზისი“ ირგვლივ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სასტუმროს მენეჯმენტმა 105 მილიონიანი ინვესტიცია მოიზიდა, რომელიც სასტუმროს ტიპის სახლების აშენების პარალელურად ჩაქვის პლიაჟის მოწყობასაც მოხმარდება.

პროექტის პრეზენტაციას, 26 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილთან, მინისტრთა კაბინეტის და აჭარის უმაღლესი

ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, კომპანიის ავსტრიელი ინვესტორები დაესწრნენ, მათ მსგავსი პროექტების წარმოების გამოცდილება ევროპის საუკეთესო კურორტებზე აქვთ.

მოხარულები ვართ, რომ აჭარის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდაში ჩვენი კომპანია მნიშვნელოვან კონტრიბუციას მოახდენს. ასეთი საერთაშორისო მნიშვნელობის ევროპული ინვესტიციის პროექტი, რომელიც ტურიზმთან ერთად ინფრასტრუქტურის

განვითარებასაც უზრუნველყოფს საქართველოს ზღვისპირა ზოლში პირველად ხორციელდება. დრიმლენდ ოაზისი განვითარებით იმედი გვაქვს, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში მაღალშემოსავლიანი ტურისტების და საერთაშორისო ინვესტორების ინტერესი – განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა ნიკოლოზ გეგუჩაძემ.

ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ რეპორტაჟს დაბა ჩაქვის ტერიტორიიდან.

ლელა სურმავა



საქართველის გეოგრაფიის გეგმის შესახებ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არაჰის სურს!



გვიგდელის საჩუქრული მარცხენა

12 აგვისტოს გრიგოლეთის ბაზა „გურიას“ გადაცემა. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, დიმიტრი ქუმსიაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ. ბრძანებაში ნათქვამია: „გადაცემის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-121,8 კვ.მეტრი, №2, №3-146,6 კვ.მ, №4-348 კვ.მ, №5, №6-1021 კვ.მ, №8, №9, №10 და მასზე დამატებული 54235 კვ.მეტრი არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონება) საკადასტრო კოდი: №27.15.42.89, როგორც დამატებითი ქონება. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.“ ეს ბრძანება ნიშნავს, რომ გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა ერთი თვის ვადაში გადაცემა თავის კანონიერ მფლობელს, საფეხურთო კლუბ ლანჩხუთის „გურიას“.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, წყლის ავზი, რომლითაც საწვრთნელი კომპლექსი მარაგდებოდა, დაჭრეს და ჯართად ჩააბარეს.

გრიგოლეთში ჩასულებს, პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ის გახლდათ, რომ წყლის ორი ავზიდან ერთ-ერთი ადგილზე არ დაგვხვდა. მხოლოდ ის ადგილია დარჩენილი, რაზეც ავზი იდგა.

ბაზის დარაჯის თქმით, ავზი რამდენიმე დღის წინ ნააქციეს და ადგილზე დაჭრეს.

ბაზის ყოფილი დირექტორის, თემურ ჩხაიძის თქმით ბაზას ურთულეს პერიოდშიაც კი სრულიად უხელფასოდ იცავდა:

„ეს იყო 35 ტონიანი ავზი, რომლითაც სასადილო და საცხოვრებელი კომპლექსი წყლით მარაგდებოდა. მეორე 15 ტონიანი ავზს კი სათადარიგოდ ვიყენებდით. ამ ეტაპზე სასადილოსთვის მხოლოდ ეს ავზიც საკმარისია, მაგრამ კომპლექსი თუ ამუშავდა, რა თქმა უნდა, არ ეყოფა – ამბობს თემურ ჩხაიძე, რომელიც რამდენიმე თვეა, ბაზაზე აღარ მუშაობს.

როგორც გავარკვეეთ, ბაზის რემონტისთვის 5 ათას ლარამდე იყო გამოყოფილი. იქვე გვერდით ნანგრევებია და ასევე მცირე რაოდენობის ნარჩენი მასალა. ადრე იქ

კლუბის შენობა იყო, სადაც ერთ დროს ფეხბურთელებისთვის ვიდეო-განხილვა მიმდინარეობდა. როგორც მიხედოდა, შენობა დანგრეულია.

ჩვენს შეკითხვაზე: სად წაიღეს ამდენი რკინა? – პასუხი ვერ მივიღეთ.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ გრიგოლეთის ბაზის დირექტორის თანამდებობაზე თემურ ჩხაიძის შემდეგ ოთარ ჩხაიძე დაინიშნა, რომლის თქმით, ბაზაზე არსებული სათავსოებისა და შენობა-ნაგებობების უმეტესობა გავერანგებული და განადგურებული დახვდა:

– თითქმის ყველაფერი განადგურებული იყო. აღდგენას არც ექვემდებარებოდა – ამბობს ოთარ ჩხაიძე.

აუდიტის შემომწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგი შენობებისაგან, ასევე წყლის ზემონახსენები ავზის და წყლის ტუმბოსგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ საფეხურთო მოედნის ღობის და სხვა ობიექტების აღსადგენად ბაზის დირექტორს, ოთარ ჩხაიძეს სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე დაქირავებული ჰყავდა 4 კაციანი ბრიგადა. ასევე სიტყვიერი შეთანხმებით, შესრულებული სამუშაოებისათვის მათთვის უნდა გადაეხადათ 2100 ლარი, თუმცა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ბრიგადის წევრებს 80 გრძ.მ. რკინის მილი გადასცეს, რომლის ღირებულება 960 ლარია.

„ტერიტორიაზე აღებული ჯართის ჩაბარების შედეგად აიღეს 750 ლარი, წყლის ავზის ჯართად ჩაბარების შედეგად – 210 ლარი. სულ საერთო ჯამში ბრიგადას გადაუხადეს 1920 ლარი“ აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

იქვე წერია, რომ სასადილოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობიდან მოხსნილი შიფერის რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 465 ლარი შეადგინა, რომლითაც ბაზისა და ევგრაფი შევარდნაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის ელექტროენერჯის დავალიანება გაისტუმრეს.

გამგეობის აუდიტის დასკვნაში ასევე წერია, რომ გრიგოლეთში მცხოვრები პავლე თევზაძემ ბაზის ტერიტორიიდან წაიღო „აზობოცემენტის“ ათი ცალი მილი, საცალო ღირებულებით 60 ლარი, ამ თანხით გაისტუმრეს კლუბ „გურიას“ სტუმართა ბინით უზრუნველყოფის დავალიანება.



„სულ სხვადასხვა სახით სამშენებლო მასალებისა და ჯართის რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 3 970 ლარი შეადგინა“ – აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

დასკვნაშივე აღნიშნულია, რომ ბაზის ახალმა დირექტორმა ოთარ ჩხაიძემ დაარღვია ხელშეკრულების ნორმები, რის საფუძველზეც გამგებელმა ოთარ ჩხაიძე ბაზის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

გრიგოლეთის ბაზიდან გამქრალი ჯართის საკითხი არაერთხელ გახდა უმცირესობის მხრიდან წამოყვედრების საკითხი, როგორც საკრებულოს წევრი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კახა ასკურავა ამბობს, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები არსებობს, რომელზეც გამგებელი ვალდებულია პასუხი გასცეს:

– ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კითხვები და საკამოდ ლეგიტიმური. როგორც მაშინდელმა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ განაცხადა, – მიმდინარეობს გამოძიებაო. ახლა ბატონი ზაზა უკვე ხალხის მიერ რჩეული გამგებელია და მით უმეტეს ვალდებულია ზუსტი და ამომწურავი პასუხი გაგვცეს მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ შემძლება გავაკეთე უფრო ზუსტი კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით, ფაქტია კითხვები არსებობს და ამ კითხვებს პასუხები სჭირდება, – ამბობს ასკურავა.

ჩვენ კომენტარი ლანჩხუთის გამგებელს, ზაზა ურუშაძეს ვთხოვეთ, რომელმაც პასუხის მოსაპოვებლად გამგეო-



ბის აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან გოგი ფაცურიასთან გაგვაგზავნა, თვითონ კი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

„გურიაREGION“ აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან დაკავშირებასაც შეეცადა, მაგრამ მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ჩვენ გავაგრძელებთ ამ საკითხზე მუშაობას და სიახლეებს მკითხველს აუცილებლად გავაცნობთ.

ნინო ონიანი

ახლოდ თხილით და იუმორით გურია წინ ვერ წავა

ჩაი – გურიის რეგიონის განვითარების უალტერნატივო პერსპექტივა



საქართველოში ჩაის შემოსვლის თარიღად XIX საუკუნის 30 წლებს ასახელებენ. იმ პერიოდისათვის მეჩაიეობას მხოლოდ მისი მოყვარულები და ენთუზიასტები აწარმოებდნენ.

ჩაის კულტურა საქართველოში შემოტანილი იქნა ჩინეთიდან. თავადმა მიხა ერისთავმა პირველად ნახა ჩაის კულტურა ჩინეთში, დააგემოვნა მისი ნაყენი და რადგან გურიის რეგიონის ჰავა, სადაც იგი ცხოვრობდა (ქ. ოზურგეთის მახლობლად) ძალიან გავდა ჩინეთის სუბტროპიკულ კლიმატს, გადაწყვიტა იგი საქართველოში შემოეტანა და გაეშენებინა. აქედან დაედო საფუძველი საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებას. შემდგომში კი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ჩაი მსოფლიოში ცნობილია თავისი საუკეთესო შემადგენლობითა და თვისებებით.

ცოტა მოგვიანებით, თავადმა ერისთავმა პირველმა წაილო

ქართული ჩაის ნიმუში 1864 წელს სანქტ-პეტერბურგში რუსეთის საერთაშორისო გამოფენაზე სწორედ ეს ნიმუში დაედო საფუძველად მსოფლიოში ქართული ჩაის აღიარებას.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სხვა ენთუზიასტების ძალისხმევით, ქართული ჩაის ხარისხი საგრძობლად გაუმჯობესდა, 1899 წელს პარიზის გამოფენაზე ქართული ჩაი დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ამ მაგალითმა აჩვენა, რომ ჩაის ბუჩქი, რომელიც საქართველოში გაიზარდა შეიძლება გამხდარიყო უმაღლესი ხარისხის ნედლეულის მომცემი, როგორც მწვანე, ასევე შავი ბაიხის ჩაის დასამზადებლად.

დიდი მნიშვნელობა ქართულ ჩაის მიენიჭა XX საუკუნის 20-იან წლებში. მაშინ მიღებული იქნა სახელმწიფო პროგრამა ქვეყანაში მეჩაიეობის განვითარების მიზნით. შეიქმნა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა კვლევითი ინსტიტუტი, სადაც გამოყვანილი იქნა ახალი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან განუმეორებელი სინაზითა და არომატით.

საბჭოთა პერიოდში ქართულ ჩაიზე წამოვიდა მთელი დატვირთვა უზარმაზარი ქვეყნის აღნიშნული პროდუქტით მომარაგებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე მოხდა რაოდენობის ზრდა, რამაც გამოიწვია დამლუპველი შედეგი ქართული ჩაის ავტორიტეტისათვის, ასევე მისი გემოსა და არომატისათვის.

ჯერ კიდევ არის შანსი გამოვიყენოთ ძველი გამოცდილი კადრები, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა კვლევითი ინსტიტუტის მდიდარი გამოცდილება, მათ მიერ სელექციითა და ლაბორატორიული ცდებით მიღებული შედეგები და უკვე ევროპული ბაზრისთვის ვანარმოთ კონკურენტუნარიანი პროდუქტი.

შეგახსენებთ, რომ გურიის ჩაი ინდოეთისა და შრი-ლანკის ჩაის იდენტურია თავისი შემადგენლობით.

რას ნიშნავს იყო გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრი

ქალაქის ქუჩებში თვალის გადავლებითაც ბევრს დაინახავთ ყვაველებით, ღიმილით, სიყვარულით სავსეს... ერთი შეხედვით შესაძლოა არ ჩანდეს ბევრი საინტერესო ადამიანური ისტორია. ერთ-ერთის შესახებ ამჯერად მოგიტყვობთ. ლანჩხუთელი ქალბატონი მზია კვიციანი, რომელსაც ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, წლების განმავლობაში ჯერ შვილის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად იბრძოდა, შემდეგ – საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ამჯერად კი – სხვების სიცოცხლეზე ზრუნავს... როგორც დედა, ქალი და ადამიანი, ის ყველა ბრძოლის გამარჯვებულია და სტუმრადაც სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ.

მოდი, თავად მას მოვუხმინოთ: – 2008 წელში მოულოდნელად გავხდი ცუდად, ილიისა და მკერდის მოდამოების მწვავე ტკივილმა შოკირება გამოიწვია, მაგრამ ეს მოხდა მომენტალურად. მაშინ თბილისში სტუმრად ვიმყოფებოდი და ახლობლებმა ნამიყვანეს ახლადგახსნილ ეროვნულ სკრინინგ ცენტრში, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ თბილისელებისათვის იყო ხელმისაწვდომი. მაღალტექნოლოგიური და ულტრათანამედროვე აპარატურის საშუალებით დამიდგინდა დიაგნოზი – მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე! დიაგნოზი ახლობლების თანდასწრებით მითხრეს. საკუთარი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია რეაქცია, რომელიც მაშინ მქონდა... ვერ მიპატიებია იმიტომ, რომ ავადმყოფობის წინაშე ფარხმალი დავყარე და საკუთარი თავი დავკარგე, ჩავთვალე რომ მკერდის კიბო ნიშნავს სიკვდილს და მეც დაველოდე... ორი შვილის დედისთვის ეს ადვილი შესაგუებელი არ იყო. მანამდე, მძიმე დამწვრობის შედეგად მიღებული ტრავმების გამო უფროსი შვილის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ვიბრძოდი მთელი 14 წლის განმავლობაში. საქართველოში ჩატარებული რამდენიმე უშედეგო ოპერაციის შემდეგ ასევე უშედეგოდ მოვიარეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დიდი კლინიკები, მათ შორის მოსკოვში და ლენინგრადშიც ვიყავით. შემდეგ ორი წლის მანძილზე გავდიოდით მკურნალობის კურსს გერმანიაში. ჩვენმა ბრძოლამ და შვიდმა ურთულესმა ოპერაციამ შედეგი გამოიღო და ჩემი ვაჟი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. იგი ახლა 26 წლისაა, აქვს უმაღლესი განათლება...



მზია კვიციანი

პირველად სწორედ მას დავურეკე და ჩემი მძიმე დიაგნოზის შესახებ ვუთხარი... იმ წუთებიდან დამკვიდრდა ჩემს ცხოვრებაში ეროვნული სკრინინგ ცენტრის მთავარი მენეჯერი ქალბატონი თინათინ ბერუჩაშვილი, ეს ქალბატონი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, მუდმივად მეკონტაქტება, მამხნევეს, დარჩებებს მაძლევს, გვერდით მიდგას... 2008 წლის 27 დეკემბერს ხილიანზე მდებარე ონკოდისპანსერში პროფესორმა მიშა ჯანჯალიამ გამიკეთა ურთულესი ოპერაცია ერთდროულად ორთავე მკერდზე.

ზუსტად ერთი თვის თავზე საჭირო გახდა მეორე არანაკლებ რთული ოპერაციის გაკეთება მუცლის ღრუში...

ოჯახის წევრებთან ერთად ჩემს გვერდით იდგა წარმოშობით ლანჩხუთელი ექიმი გია ნილოსანი, რომლის თანადგომა და მორალური დახმარება ფასდაუდებელია.

ოპერაციების შემდეგ ჩავიტარე ქიმიოთერაპიის სრული კურსი. ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად და მკურნალობის სრული კურსის დასაფინანსებლად დაახლოებით 22 ათასი ლარი იყო საჭირო. არ მქონდა ჯანმრთელობის დაზღვევა და არცერთი სახის სახელმწიფო პროგრამაში არ მოხვდი. ოჯახის ახლობლებისა და ნათესავების დახმარებით როგორღაც შევძელით და ეს თანხა გადავიხადეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის საშუალებით მაღლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მაშინ დახმარების ხელი გამომიწოდეს, ბატონ გიორგი გოგუაძეს, ბატონ გია თვალავაძეს...

ახლა კი უმთავრესი სათქმელი უნდა გითხრათ. ოპერაციებისა და ქიმიოთერაპიის შემდეგ ეროვნულ სკრინინგ ცენტრში (დირექტორი პროფესორი რემა ღვამიჩავა), ქალბატონ თინათინ ბერუჩაშვილის რჩევით რეაბილიტაციის კურსი გავიარე. ასე მოხვდი გამარჯვებულ ქალთა კლუბში, სადაც ამ დიაგნოზთან ბრძოლაში გამარჯვებული 200-ზე მეტი ქალბატონია გაერთიანებული. ცენტრის ლიდერი გახლავთ ქალბატონი ნარგიზ ლებანიძე, ხოლო ფსიქოლოგი – ქალბატონი ნატა გელაშვილი. გურიის რეგიონიდან მხოლოდ მე გახლავართ ამ კლუბის წევრი.

კლუბში ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი. თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული ჩვენთაგანი ინდივიდუალურად ვიბრძვით სიცოცხლის გადასარჩენად...

ამიტომაც 2012 წლის პირველ ივნისს ლანჩხუთში დავაფუძნეთ რეგიონალური ორგანიზაცია „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“, რომლის პრეზენტაციას საპატიო სტუმრების რანგში ესწრებოდნენ პოლონეთის მაშინდელი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ურშულა დოროშევსკა, საქართველოში „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ დამფუძნებელი, ქალბატონი თინათინ ბერუჩაშვილი, თბილისის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნარ-

დერული საკანონმდებლო ინიციატივის მიღება, თუმცა აქვე კომიტეტი სინანულს გამოთქვამს, რომ საბჭოს შესაბამისი მატერიალური, ტექნიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა და რესურსები არ გააჩნია. კომიტეტის პასუხში ასევე ხაზგასმულია პრემიერ-მინისტრის აპარატთან შექმნილი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მრჩეველის პოსტის შექმნა. თუმცა გამოთქმულია სინანული, რომ აღმასრულებელ უწყებებს შორის კოორდინაციის, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების და მონიტორინგისთვის სრულყოფილი მექანიზმი არ არსებობს.

CEDAW კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებას.

კომიტეტი ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს სექსისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები.

კომიტეტის რეკომენდაციების ნაწილში აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მონაწილე სახელმწიფომ:

ა) გაგრძელოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კონვენციის ფარგლებში, მათ შორის ქალებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ;

ბ) ხელი შეუწყოს სექსისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში ქალთა მიერ სასამართლოსა და კვაზი სასამართლო ორგანოებისათვის მიმართვას;

გ) უზრუნველყოს, კონვენციის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური რეკომენდაციების საჯაროობა; მიანოდოს რეკომენდაციები მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს, რაც მათ საშუალებას მისცემს პირდაპირ მიმართონ კონვენციასა და ეროვნული სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაცია კონვენციის შესაბამისად მოახდინონ;

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა დისკრიმინაციას კრძალავს, კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების მექანიზმების არარსებობის გამო. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის აპარატი, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანო, ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო რესურსებს არის მოკლებული, თუ აპარატის ბიუჯეტის შესაბამისად გარდაქმნა არ მოხდა.

კომიტატი შეშფოთებულია

ა) გენდერზე დაფუძნებული მიდგომის ნაკლებობის გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურებისას;

ბ) ადეკვატურ ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის;

გ) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ქალებთან მათი ოჯახების გრძელვადიანი ვიზიტის შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო;

დ) თავშესაფრებსა და დამხმარე მომსახურებებზე

ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო, ხანდაზმული ქალებისთვის, რომლებმაც დაკარგეს ოჯახი და რომლებიც მიატოვეს ოჯახებმა;

ე) ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ქალებზე ფიზიკური ძალადობისა და ზენოლის, და ტრანსგენდერი ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემაზე შეზღუდვების არსებობის გამო.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის ფარგლებში CEDAW კომიტეტი საქართველოს მთავრობას სასწრაფოდ ზომების მიღებისკენ მოუწოდებს, ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა სახეების აღსაკვეთად. ამისთვის მთავრობამ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სახელმწიფო თავშესაფრების არსებობა უნდა უზრუნველყოს და ამ მიმართულებით ქალთა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გააუმჯობესოს. აკრძალოს და ადეკვატური სანქცია დაანსოს ქალიშვილობის ტესტის ჩატარების პრაქტიკაზე, რაც ქალების ინტიმური ცხოვრების უფლების დარღვევაა. და რაც მთავარია, მთავრობამ ოჯახურ ძალადობაში დამნაშავე პირების გამოსავლენად და შესაბამისად დასასჯელად ქმედითი მექანიზმები უნდა შეიმუშავოს.

კომიტეტი სახელმწიფოს ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის აღსრულებას მოუწოდებს.

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქორწინების საკითხებზე. აღსანიშნავია არასრულწლოვანთა ქორწინების საკითხი. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ 18 წლის ქვემოთ მოქალაქეთა ქორწინების სამოქალაქო კოდექსით აკრძალვის მიუხედავად, კოდექსი გამონაკლისად ცნობს 16 წლის არასრულწლოვანთა ქორწინებას, თუ არსებობს მშობლების, მეურვეების თანხმობა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქორწინების გამამართლებელი სხვა მიზეზები. კომიტეტი ფიქრობს, რომ ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს ბავშვთა ქორწინებების ზრდას.

კომიტეტი არ მალავს აღშფოთებას ეკლესიის როლის გამო არარეგისტრირებულ ქორწინების პრაქტიკის შენარჩუნებაში. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეკლესია ქალებს ქორწინებაში დარჩენას მოუწოდებს, ასეთი ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. კომიტეტის აზრით, ეკლესიის ამგვარმა მოწოდებებმა შესაძლოა 16 წლის ქვემოთ მოქალაქესთან სექსუალური ურთიერთობის დაუსჯელობის სინდრომი წახალისოს.

კომიტეტი საქართველოს მთავრობას მიმართავს, ინფორმაცია რეკომენდაციების აღსრულებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ მომდევნო ორი წლის ვადაში მიანოდოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინფორმაცია, იმის შესახებ თუ რა გაცემდება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის; ამასთანავე, კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალების მოკვლის ფაქტების მზარდი რაოდენობის აღკვეთისათვის განხორციელებულ აქტივობებზე

სასმენი აკაკაშვილის ღანძრავა საქართველოში ზურაბ ქვეანიშვილს უკავშირდება



ზურაბ ქვეანიშვილი

საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ წარმატებულ ექიმს, რომელმაც მეოცე საუკუნეში კომუნისტური წყობილების ბიუროკრატიულ სისტემას თამამად გაუნია წინააღმდეგობა და დასძლია კიდეც ის. აკადემიკოს სიმონ ხინინაშვილის ხელშეწყობით ზურაბ ქვეანიშვილმა 1971 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში გასაუბრება გაიარა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა. თვეების განმავლობაში ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის აუდიოლოგიის ლაბორატორიაში მუშაობდა. მას შემდეგ პრაქტიკულად ყოველ წელს სტუმრობს გერმანიას. ორი ქვეყნის აუდიოლოგებს შორის მჭიდრო ურთიერთობები დღემდე გრძელდება.

ზურაბ ქვეანიშვილი 1941 წლის 15 მარტს დაიბადა თბილისში. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსი გაიარა. 1969 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრში ამჟამად შპს **აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი** როგორც მეცნიერი მუშაკი, ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების გამგე (1975), დირექტორი (1989). პარალელურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე როგორც დოცენტი (1979), პროფესორი (1983), ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კურსზე როგორც პროფესორი (1996). 1969 წელს ზურაბ ქვეანიშვილმა დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდი-

დატის, 1982 წელს – დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1985 წელს მიენიჭა პროფესორის ტიტული. 1991-2010 წლებში ხანგრძლივი დროით სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა გერმანიაში, კერძოდ, ქალაქებში – მაგდებურგი, ერლანგენი, ბერლინი, ერფურტი, მიუნხენი, დრეზდენი. განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდა მაგდებურგის და დრეზდენის აუდიოლოგიის პროფილის საუნივერსიტეტო დაწესებულებებს. მაგდებურგელი და დრეზდენელი აუდიოლოგებიც სისტემატურად იმყოფებოდნენ სამეცნიერო-სამუშაო ვიზიტებით თბილისში.

ზურაბ ქვეანიშვილი 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. წარმატებული სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური მუშაობისთვის 1986 წელს საპატიო ნიშნის, 2001 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. სამი მონოგრაფიის, ერთი ბუკლეტის და 360-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი/თანაავტორია. ნაშრომთაგან 171 სტატია ინგლისურ ენაზე, ძირითადად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში აქვს გამოქვეყნებული, რაც საქართველოს მასშტაბით გარკვეულწილად რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს. 1985 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია – **ადამიანის სმენის გამონვეული პოტენციალები** ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რეგიონის მასშტაბით ერთადერთ სისტემურ ნაშრომს წარმოადგენდა პროფილის ფარგლებში. რუსულენოვან მკითხველებში ის პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს. ზურაბ ქვეანიშვილის ერთ-ერთ მონოგრაფიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია აქვს მინიჭებული, მეორეს – სხვა ნაშრომებთან ერთად – საქართველოს ეროვნული პრემია. საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის ჯორჯ სოროსის საერთაშორისო პრემიითაც არის დაჯილდოვებული. მისი ხელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობით და რედაქტორობით ითარგმნა და დაიბეჭდა წიგნი **ბავშვის ცხოვრების პირველი 365 დღე**. მასში ახალშობილის ევოლუციის, სმენის ფუნქციის განვითარების სტადიები აღწერილი. წიგნი საქართველოში ბესტსელერად იქცა. 34 სხვადასხვა ენაზე წიგნის ნათარგმნთა გამოფენაზე მიუნხენში ქართული გამოცემა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა აღიარებული. ზურაბ ქვეანიშვილი იყო 13 დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი ან კონსულტანტი. მათ შორის ოთხი – გერმანელების მიერ იყო შესრულებული და გერმანიაშივე დაცული. ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე პროექტში, რომელიც ახალშობილთა და პირველკლასელთა სმენის მასობრივ სკრინინგულ გამოკვლევებს ითვალისწინებს.

აუდიოლოგიის ცენტრის, უშუალოდ ზურაბ ქვეანიშვილის საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, გერმანელმა და პოლანდიელმა კოლეგებმა სმენის სკრინინგის ქართულ მხარეს საჩუქრად ჯამში შვიდი ძვირადღირებული აპარატი გადმოსცეს, შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში დაიწყო და დღემდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სმენის მასობრივი სკრინინგული გამოკვლევები ბავშვებში. 2006 წლიდან დღემდე 250.000-ზე მეტ ახალშობილს და პირველკლასელს აქვს სმენა სკრინინგულად გამოკვლეული საქართველოში.

90-იანი წლების შუა პერიოდამდე სასმენი აპარატების სერვისის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა. აპარატების სისტემატური დანერგვა ქვეყანაში ზურაბ ქვეანიშვილს უკავშირდება. გერმანელ აუდიოლოგებთან ხანგრძლივი და წარამტებული ურთიერთობის საფუძველზე მათთან თანაავტორობით ზურაბ ქვეანიშვილს 127 ნაშრომი აქვს შესრულებული, მეტწილად გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ასევე აუდიოლოგიის ცენტრის მაღალი რეპუტაციიდან გამომდინარე, სასმენი აპარატების უმსხვილესი კომპანიის კინდ-პორგერეტს პრეზიდენტი მარტინ კინდი მაგდებურგში ესტუმრა ზურაბ ქვეანიშვილს, მასთან გამართა მოლაპარაკებები და საქართველოში დააფუძნა ფილიალი კინდ-სმენა, სადაც სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, გერმანიასთანაც შედარებით სასმენ აპარატებზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. კინდ-სმენას დირექტორი ზურაბ ქვეანიშვილის შვილი – ივა ქვეანიშვილია. მან ელექტრულად გამოწვეული სმენის პოტენციალების თემაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. პარალელურად ის ჯაფარიძე-ქვეანიშვილის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის

გენერალური დირექტორია.

ჯაფარიძე-ქვეანიშვილის კლინიკა ამიერკავკასიის მასშტაბით შესაბამისი კლინიკური დისციპლინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია, სადაც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა მეზობელი ქვეყნებიდანაც ჩამოდიან და სათანადო მკურნალობას გადიან ავადმყოფები. კლინიკა ექიმთა მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა.

ზურაბ ქვეანიშვილის ხელმძღვანელობით კლინიკაში აუდიო-ვესტიბულოლოგიური დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურები მაღალ საერთაშორისო დონეზე ტარდება. აუდიოლოგიის ცენტრმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკაში ობიექტური აუდიომეტრია – სმენის ფუნქციის გამოკვლევა სმენის გამოწვეული პოტენციალების კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით. საქართველოში პირველმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ტვინის ღეროს სმენის პასუხის კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით სმენის ინტრა – და რეტროკოხლეარული პათოლოგიების დიფერენცირება. აქ ყურის შუილის, სმენის უეცარი დაქვეითების სპეციფიკური, ხშირად წარმატებული მკურნალობა ხორციელდება.

აღსანიშნავია ზურაბ ქვეანიშვილის პიროვნული თვისებები. ის უშუალო, კომუნიკაბელური და თავმდაბალი ადამიანია. მეცნიერის მიღწევები საზღვარგარეთ საქართველოს წარმოიჩინას უკავშირდება. აუდიოლოგიის ცენტრის, ჯაფარიძე-ქვეანიშვილის კლინიკის თანამშრომელთა ძლიერი კოჰორტა ის მთავარი ბაზაა, რომლის შედეგს რეაბილიტირებული და განკურნებული პაციენტები წარმოადგენენ.

ლელა სურმავა


კიბოს სამკურნალო მცენარე

ხილი, რომელიც კურნავს კიბოს და მისი ზემოქმედება ათი ათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ქიმიოთერაპიის.

გუანაბანა ითვლება ყველაზე ძლიერ ანტიკანცეროგენად პლანეტაზე. გრავიოლას ხის ნაყოფი ეს არის სასწაული, რომელიც ანადგურებს კიბოს უჯრედებს.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახლობელ ადამიანებს და მოუყვით, რომ აუცილებელია გუანაბანას წვენის დალევა, რათა თავი ავარიდოთ დაავადებას. ის სასიამოვნო დასალევია და არ აქვს გვერდითი მოვლენები, ისეთი, როგორც აქვს ქიმიოთერაპიას.

გუანაბანა არის დაბალი სიმალის ხე და იკავებს ნაკლებ ადგილს. ის ცნობილია ბრაზილიაში გრავიოლას სახელით, ლათინურ ამერიკაში გუანაბანა და soursoy ინგლისურ ენაზე. მას აქვს მსხვილი და ტკბილი ნაყოფი, საკვებად მიიღება ნედლი სახით და გამოიყენება წვენების დასამზადებლად. ამ მცენარის მიმართ ინტერესი გამოწვეულია მისი კიბოს საწინააღმდეგო თვისებებით. გარდა ამისა, მას აქვს უამრავი სხვა თვისებაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სიმსივნეზე ზემოქმედება.



ეს მცენარე შემონმებულია. ამტკიცებენ, რომ სასარგებლოა ყველა ტიპისა და ფორმის კიბოს წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

აგრეთვე ითვლება, რომ მცენარე არის ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი. ფლობს სოკოს საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტულ თვისებებს, აწესრიგებს არტერიულ წნევას და არის ანტიდეპრესანტი.

ამ ინფორმაციის წყარო არის ნამღებების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი. 1970 წელს იყო ჩატარებული 20-ზე მეტი ლაბორატორიული ტესტი, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ექსტრაქტი ანადგურებს ავთვისებებიანი

სიმსივნის 12 ტიპს – მსხვილი ნაწლავის, ძუძუს ჯირკვლების, პროსტატის, ფილტვის და პანკრეასის.

მცენარე კიბოს უჯრედების ზრდას ათი ათასჯერ უფრო მეტად ამცირებს, ვიდრე ადრიაამიცინი (ცნობილი ქიმიოთერაპიული პრეპარატი). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გრავიოლას ექსტრაქტით თერაპიის შემთხვევაში ნადგურდება მხოლოდ კიბოს უჯრედები და ის არ აყენებს ზიანს ჯანმრთელ უჯრედებს.

ყიდ-ყურ-ცხვირის სნაუდებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქვანიშვილის კლინიკა



ქალაქი თბილისი. თევდორე მღვდლის ქუჩა №13, VI სართული
ტელ: 2 34 59 55; ტელ/ფაქსი: 2 39 59 00
info@ent.com.ge; www.ent.com.ge

ციცინათელა



ატრაქციონების პარკი ციცინათელა მდებარეობს გურიაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შეკვეთილში, ზღვისპირა დაბა ურეკსა და ქალაქ ქობულეთს შორის.

ატრაქციონების პარკი მნახველს თავისი სილამაზითა და ატრაქციონების სიმრავლით აოცებს.



ატრაქციონების პარკი ციცინათელა 2006 წელს გაიხსნა. პარკში არსებული ატრაქციონები ყველა ასაკის ბავშვს ართობს და ახალისებს. სეზონზე ციცინათელას დაახლოებით 300 ათასი ადამიანი სტუმრობს, რომელთა უმრავლესობა ბავშვებია.

ბავშვებისთვის უთანამედროვესი ევროპული ატრაქციონები სრულ მზად ყოფნაშია.



ციცინათელაში ფუნქციონირებს 36 გასართობი ატრაქციონი მ.შ: 8 საბავშვო, 17 საოჯახო და 11 ექსტრემალური. აქვე მდებარეობს სათამაშო ავტომატების ორი დარბაზი და ბოულინგი.

დამსვენებლებს ემსახურება აგრეთვე 2 ლია ტიპის პიცერია, ყავის სახლი, ბარი და შვიდი სავაჭრო ჯიხური.

მიმდინარე წელს ციციანათელა დამსვენებლებს მომსახურებას გაუწევს 13 ივნისიდან 16 სექტემბრამდე.

ატრაქციონები სამი ტიპისაა: საბავშვო, საოჯახო და ექსტრემალური.

საბავშვო ატრაქციონებია: მინი ბამპერიანი მანქანები, კონვოი „პატარა ბორბალი“, კარუსელი, ილუსტრირებული მატარებელი, ალადინი, სვინგერი.

საოჯახო ატრაქციონებია: მდორე მდინარე, ბამპერიანი ავტომანქანები მოზრდილთათვის, მხიარული მატლი, საფარი ტური, სასრილო, პატარა მოტორიანი ნავეები, სიცილის ოთახი, მაგიური მფრინავი, წყალქვეშა მოგზაურობა, შეშლილი ტივი, ბატუტი, საშინელებათა სახლი, მფრინავი სპილოები, ულიტოი, სუპერ ტელეკომბატი, კარტინგი, პანორამული ბორბალი, სათამაშო ავტომატები დარბაზი №1, სათამაშო ავტომატები დარბაზი №2, ბოულინგი.

ექსტრემალური ატრაქციონებია: საუკეთესო მოცეკვავე, სუპერ მატყუარა, კამიკაძე, სწრაფი ვარდნა, ბუსტერი, როლერ კოსტერი, სწრაფი მდინარე, სუპერ ყულფი, ცის ყულფი, ბეისბოლი, მაღალი რხევა.

ატრაქციონების პარკი მუშაობს 18.00 – 03.00 საათამდე. თავისი სილამაზითა და უნიკალურობით ის ყოველთვის აოცებს მნახველს.



რესტორანი პარკში ზღვის პირას



ქალაქი ბათუმი

ხანგრძლივ რემისიას მიაღწიოს. ალერგიული და სახსრების, რევმატიკული დაავადებების დროს, ასევე ფობიური ნევროზები, ემოციური სტრესის შედეგად გამოწვეული მდგომარეობები, კუჭნაწლავის დაავადებების-ნაღვლისბუშტის და პანკრეასის მკურნალობის დროს მეტი ასპარეზი გაგვეხსნა. თირკმელკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს, როცა ორგანიზმის განმეხდაა საჭირო, ფიტოთერაპიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

- რა დაავადებების მქონე პაციენტები მოგმართავენ უფრო ხშირად?

- ბავშვებში ხშირია გაციება, ხველა, ბრონქიტები, ბრონქიალური ასთმა, ულტიკარიესები, ჯინჭრის ციება, ნეიროდერმიტები, ცერებლარული დამბლა და აუტიზმი. მოზრდილებში - ძვალსახსროვანი სისტემების პათოლოგიები, მეტაბოლური და რემატოიდული ართრიტები, ალერგიები, ნევროზები, კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებები - წყლული, ნაღვლის ბუშტი, კოლიტი, ასევე ჰეპატიტი.

- რამდენი კურსი უნდა ჩაიტარონ ავადმყოფებმა?

- მწვავე დაავადების მკურნალობას მცირე დრო სჭირდება რამდენიმე დღიდან ორ კვირამდე. ქრონიკული დაავადებების დროს წელიწადნახევარი. ჰომეოპათიური მკურნალობის შერჩევა წარმოებს კომპიუტერული პროგრამებით - რადარი და რადუგა 5.

- კლინიკაში საქართველოში პირველად დაინერგა ბავშვთა მანუალური თერაპია და მანუალური მასაჟი.

- მკურნალობის მეთოდი ეფექტურია ბავშვებში ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევების დროს - ბავშვთა ცერებრალური დამ-



ბლა, კისერმრუდობა, ბარძაყის თავის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, ბრტყელტერფიანობა, კუნთების სიმეტრია, კიფოზი, სქოლიოზი, ხერხემლის ზრდის შეფერხება, დისკის თიაქარი და სხვა. ბავშვთა მანუალური თერაპია და სამკურნალო ფიზიკულტურა აჯანსაღებს ბავშვების ორგანიზმს, აკაუებს მათ იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს როგორც გონებრივ მდგომარეობას, ასევე სხეულის ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ მონაცემებს. კლინიკაში ასევე დანერგილია ეთერზეთოვანი მასაჟი, ჭარბი წონისა და შლაკების დაგროვების სამკურნალოდ. გამოიყენება ლაზეროპუნქტურა, მაგნიტოთერაპია და სამკურნალო ფიზიკულტურა. ჰომეოპათია გამოცდილია კომპლექსურ მკურნალობაშიც და კარგად ეთავსება ქართულ ტრადიციულ მედიცინას, სამკურნალო მასაჟს, მანუალურ თერაპიას, ფიზიო და ბალნეოთერაპიას, ფიზიკურ და სუნთქვით ვარჯიშებს, კლიმატურ, კურორტოლოგიურ და სხვა ბუნებრივი მკურ-

ნალობის მეთოდებს.
- თქვენ კლინიკაში მოგმართავენ ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტები?

- კანადის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა შექმნა სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი - ნატრიუმის დიხლორაცეტატი. შედარებით იაფი პრეპარატი ძვირადღირებულ ქიმიოთერაპიაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა, ფარმაცევტულმა კომპანიებმა, სამწუხაროდ, სააფთიაქო ქსელში არ გაუშვეს, თუმცა მსოფლიოში აიტაცა. ჩვენ გავაანალიზეთ, ჰომეოპათიურად რა რთავდა ორგანიზმში მეტაქონდრიების აქტიურობას და ისეთი პრეპარატი შევარჩიეთ, რომელმაც ონკოლოგიურ ავადმყოფებზე დადებითი შედეგი მოგვცა. მეოთხე სტადიაზე ინტოქსიკაციას და ძლიერ ტკივილებს ხსნის, სიმსივნე პატარავდება და სიცოცხლის ხანგრძლივობა მატულობს. ჩვენი მიზანია ამ პრეპარატმა კლინიკური აპრობაცია გაიაროს.

- ავადმყოფები საქართველოს ყველა რეგიონიდან მოგმართავენ.

- მათ შორის აფხაზეთიდან, ასევე ვლადიკავკაზი, ყაზახეთი, რუსეთი, გერმანია, ინგლისი, კიპრი და სხვა ქვეყნები. კლინიკის ფილიალები ფუნქციონირებს ქუთაისში, რუსთაველი, ზუგდიდში, ფოთში, გურიაში და ბათუმში მცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა ქობულეთში ჰომეოპათ მანია შათირიშვილს მიმართონ. ქართული ტრადიციული მედიცინის ცენტრები უცხოეთიც უნდა გაიხსნას.

ჰომეოპათიური მკურნალობა შედეგანია შემდეგი დაავადებების დროს:

ალერგიული დერმატიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, რინიტები, ბრონქული ასთმა.

ქრონიკული და კალკულოზური ქოლეციტიტი, ჰეპატიტები, ქრონიკული



კოლიტი, გასტროდუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება.

პროსტატის ანთება, ადენომა(პირველი-მეორე სტადია).

საკვერხის კისტა, საშვილოსნოს მიომა, უშვილობა, პათოლოგიები ფეხმძიმობის პერიოდში, კლიმაქსი, ჭარბთმინობა.

ფარისებური ჯირკვლის დაავადებები-ჰიპო და ჰიპერთირეოზი, კვანძოვანი და დიფუზიური ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოდიტი (ასევე ჰიპოპლაზია).

ინსულინ-დამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სიმსუქნე და სხვა ენდოკრინული დარღვევები.

ნევროზი, შიშები, ძილის პრობლემები, სტრესის შემდგომი მდგომარეობა, ტოქსიკომანია (ნიკოტინი, ალკოჰოლი, ნარკოტიკისადმი და ასე შემდეგ დამოკიდებულება).

კანის პრობლემები-ეგზემა, ფსორიაზი, პერპსი, ნახეთქები და სხვა.



რევმატული, მეტაბოლური და სხვა ეტიოლოგიის ართრიტი და პოლიართრიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოპათია, იმიაზი, რადიკულიტი, ოსტეპოროზი.

ანემია, სხვადასხვა ვასკულიტები, რეინოს სინდრომი, ვენების ვარიკოზი, თრომბოფლემბიტი, ტროფიკული წყლული.

ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია და ჰიპოტენზია, გულის იშემიური დაავადება, ენდარტერიტი, კიდურების განგრენის საწყისი მდგომარეობა.

პლევრიტი, მწვავე და ქრონიკული პნევმონია, ბრონქიტი, სილიკოზი.

ბავშვთა დაავადებები, იმუნოდეფიციტი, ვაქცინაციის შემდგომი გართულებები, აუტიზმი, ბავშვთა ცერებრალური დამბლა.

კლინიკა ოჯახის მკურნალი-ს მისამართი:

ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28

ალექსანდრე ჭავჭავაძის №2ა

ტელ: (+995) 2 98 64 86

5 99 55 99 61

www. Curamediana. Ge

ნატალია შარაშენიძე



ყველას გირჩევთ, ნახოთ საქართველო

დღემშვიდობისა ყველა მკითხველს. მე მქვია სტეფანია და 5 თვე ვიმუშავე და ვიმოგზაურე საქართველოში. ქვეყანა, რომელზეც თითქმის არაფერი გვსმენია და ბევრ ჩვენთაგანს გაუჭირდება წარმოიდგინოს გეოგრაფიულად სად მდებარეობს. პატარა ქვეყანაა, დაახლოებით 4 მილიონი მოსახლეობით, ევროპისა და აზიის გასაყარზე, სამხუხაროდ, ცნობილია 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომით. სიტუაცია ძალიან მშვიდია, არანაირი საშიშროება არ არის, ამიტომ გირჩევთ, ნახოთ საქართველო, რომელიც ბევრი რამით ჰგავს სამხრეთ იტალიას – ადგილმდებარეობით, ტემპერამენტით. ეს ხალხი სიყვარულს და პატივისცემას გიჩვენებთ. ის რომ იტალიელი და სტუმარი ვიყავი, ბევრ რამეში ვიგრძენი, მაგრამ ეროვნების მიუხედავად, ტურისტი საქართველოში არის მეფე. როგორც კი ჩავედი ყველაფერი სხვანაირად მომეჩვენა, მოულოდნელი იყო, დაწყებული პეიზაჟებიდან. წარმოდგენილია, ასეთი პატარა ქვეყანა, რომლის ალმოსავლეთიდან დასავლეთამდე გასავლელად მხოლოდ 6 საათია საჭირო, აქვს კილომეტრებით შავი ზღვის სანაპიროები, 2500 მეტრზე მაღალი მთები, მთების ჯაჭვი, ულამაზესი კავკასიონი, მდინარეები და ნაკადულები აყვავებულ ტყეებში, უდაბნო, თანამედროვე მეტროპოლი თბილისი, ტბები და თერმული წყლები. მოკლედ ყველაფერი, რაც შეიძლება დასასვენებლად წასულმა ადამიანმა ინატროს. საკმარისია რამდენიმე კილომეტრი გაიარო, შეიცვალო ჰაერი და სულ სხვა ადგილზე მოხვდე, მაგრამ ყველაზე მეტად მომხიბლა ჩვენმა ბიძაშვილმა ქართველებმა. ვფიქრობ, არასოდეს შემხვედრია ასეთი კეთილი, სიმპათიური და ხელგამლილი ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ რთული ეკონომიკური პერიოდი აქვთ, აბსოლუტურად ყველა ქართველი (განსაკუთრებით სოფლებში) მზად არიან სტუმარს გაუმასპინძლდნენ – მოსასვენებელი ოთახი, საკვები, ღვინო. ხშირად სადილზე დაგპატიჟებენ, გთავაზობენ უამრავ ღვინოს, ჭაჭას როგორც ჩვენი არაყი, ოჯახებში არის დამზადებული, დაუსრულებელი

სადღეგრძელოები და ცეკვა-სიმღერა. ჩემი ერთ-ერთი შევდი თანამშრომელი, რომელმაც ოჯახში წყალი ითხოვა, სადილზე მიიწვიეს, იქ დააძინეს და მეორე დღეს შვილის ქორწილზეც კი დაპატიჟეს და ეს ყველაფერი მხოლოდ შესტების ენაზე, დაუჯერებელია?! ქართველები დიდ პატივისცემას გამოხატავენ ქალების მიმართ. მარტო ვმოგზაურობდი ქვეყანაში და არასოდეს მიგრძენია თავი ასე დაცულად და მშვიდად. ქალებს (საერთოდ სტუმრებს) ფულს არ ახდევინებენ, მიწევდა ხოლმე კინკლაობა ამის გამო, მაგრამ ბოლოს მაინც ისინი იმარჯვებენ.

საოცარია, როგორ მართავენ მანქანას. რამდენჯერ შემშინებია, როცა მიმგზავრია მანქანით, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ. ავტობუსით მგზავრობაც პოტენციურად საშიშია. ჩვენში დარჩეს, მანქანის მართვა არ იციან. საყვედური არ გამოთქვიათ, თორემ უარესად ატარებენ. ნამდვილი გიჟები არიან საჭესთან. ლადა და ვოლგა, 50 წლის მანქანები ახლაც მოძრაობს, საყვირის ხმა ისმის განუწყვეტლივ. მუხრუჭის ნაცვლად კლაქსონს იყენებენ. მიუხედავად ამისა, ავტოკატასტროფა არსად მინახავს.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს რუსეთის ბაღს ეძახდნენ, რადგან აქ ყველაფერი მოდიოდა – ციტრუსი, ჩაი, სხვადასხვა ბოსტნეული, რომლებსაც ნამდვილი გემო აქვთ – ღვინო, თაფლი, ლიქიორები, სიმინდი...

იტალიაში დაბრუნება მძიმე იყო, მაგრამ საოცნებო.

საქართველოში მუშაობა დიდ საქმეს ნიშნავს – კომუნიზმის წლების შემდეგ ქართველებს არ აქვთ თვითინიციატივა, კონკრეტული უნარები და ეს ყველაფერი მათთვის რთულია. საინტერესო ტური მქონდა. ყველას გირჩევთ, ნახოთ საქართველო და იცხოვროთ ყოველდღიურ ემოციებში და სიგიჟეებში ჩვენს გადარეულ ქართველ ბიძაშვილებთან. დათანხმდით ბევრ მიწვევას აბსოლუტური სიმშვიდით, არ ინანებთ.

ემიგრანტის წერილი

ერთად დავღვამთ სიმოცხლის გადასარჩენად

ამ მონოდებით გაიხსნა 17 ივლისს ჩოხატაურის კინო-თეატრის დარბაზში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი, რომელიც 16 წლის ვიტალი კილასონიასა და 22 წლის ლია გოგოლაძის სიცოცხლის გადასარჩენად მოეწყო. ჩემი ყურადღება კონცერტის მთავარმა მონაწილეებმა მიიპყრეს. ისინი გურიისთვის უჩვეულო „ვიზუალით“ გამოირჩეოდნენ. სცენაზე სხვადასხვა სახის ინსტრუმენტთან პატარები ისხდნენ. საოცარი ოსტატობით ასრულებდნენ ურთულეს კომპოზიციებს და ცოცხალი შესრულებით აკვირვებდნენ მსმენელს.

ღრამიძე: ნიკოლოზ სოროზანაშვილი, ლაშა კალანდაძე, ლუკა და მამუკა კოტრიკაძეები.

სინთეზატორები: მახარე მახარაზე და ქრისტინე გუდავაძე.

ბას ბიტარა: ნანუკა ქარდავა.

სოლო ბიტარა: თამთა თავართქილაძე

რიტმ-ბიტარა: ლიკა ძნელაძე

პოპალისტები: ვიოლეტა მგალობლიშვილი, სალომე კალანდაძე, ნინო თავართქილაძე და გიორგი ჯინჭარაძე.

– ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც სულ რაღაც შვიდი თვის წინ ბატონმა გოდერძი (გოჩა) გათავშვილმა გააერთიანა და შექმნა როკ-ბენდი **Gurian nice kids**.

– ბატონ გოჩასთან საუბრით დავინწყებ ამ რუბრიკას.

– როგორ გაჩნდა როკ-ბენდის შექმნის იდეა?

– მადლობას გიხდით, ჩემი და ჩემი ბავშვების საერთო საქმით რომ დაინტერესდით. მათი მშობლების დაყინებული მოთხოვნით შეიქმნა როკ-ბენდი. ჩოხატაურელი ბავშვების უდიდესმა პოტენციალმა, საოცარმა ნიჭიერებამ და ალბათ ჩემმა გამოცდილებამაც მუსიკალურ სფეროში გადამაწყვეტინა შემექმნა ეს ჯგუფი. პროფესიით ალტისტი, კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი გახლავართ. წლების განმავლობაში ზესტაფონსა და ქუთაისში ვხელმძღვანელობდი მუსიკალურ ჯგუფებს. ჩოხატაურში გამოვაცხადეთ კონკურსი, შევარჩიეთ ჯგუფის წევრები და კულტურის ცენტრში



სამეურნეო ანგარიშზე შეიქმნა ბავშვთა როკ-ბენდი, სახელწოდებით **Gurian nice kids**. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეგვიძინა საჭირო ინსტრუმენტები: სინთეზატორები, ბას გიტარა, სოლო გიტარა, რიტმ გიტარა, დრამები, კონგები, შეიკერი და მარაკასი. გამოგვიყო სარეპეტიციო დარბაზი. მეცადინეობა 2013 წლის ნოემბერში დავიწყეთ. ჩემთვის სასიამოვნოა თითოეულ მათგანთან მუშაობა.

– რა ასაკის უნდა იყოს ბავშვი, ბენდში რომ მოხვდეს?

– იდეალური ასაკი არის საშუალო სკოლის მე-4 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით, მაგრამ თუ კი ბავშვი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით არის დაჯილდოებული, სურვილი აქვს დაუკრას ან იმღეროს, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვი.

– რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ეს ბავშვები?

– სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდგომ, ამ ბენდის წევრობა მუსიკალური კარიერის ერთგვარი გაგრძელებაა. აქ ხდება გამოცდილების რეალიზება. სმენის, გემოვნების ჩამოყალიბება და განვითარება, თუმცა მყავს ისეთიც, რომელსაც არ აქვს მუსიკალური სკოლა გავლილი, მაგრამ წამყვანი დრამერი და არაჩვეულებრივად გრძნობს რიტმს. ბენდში მოსვლის დღიდან ამ ბავშვებს მოუხდათ სხვადასხვა ინსტრუმენტებთან მუშაობა, რაც მუსიკალურ სკოლაში არ უსწავლიათ, იქ მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდნენ. კარგი იქნება თუ მუსიკალურ სკოლაში მოინვევენ სხვადასხვა ინსტრუმენტების სპეციალისტებს და მრავალფეროვანი გახდება ინსტრუმენტალური მუსიკა.

– თუ გსურთ ბენდის გაფართოება?

– ეს ჯგუფი უკვე შემდგარი როკ-ბენდია და მის გაფართოებას არ ვგეგმავ. ახალი ნაკადით და სახეებით მსურს, შევქმნა ახალი ბენდი. ეს ალბათ სამომავლო გეგმებში შედის.



– ამ ჯგუფთან რას გვემავთ, თუ აპირებთ კონკურსებ-სა და ფესტივალებში მონაწილეობის მიღებას?

– ამ ეტაპზე კონკურსებისგან თავს შევიკავებდი, იმიტომ, რომ დაკვირის თვალსაზრისით მინდა დაიხ-ვენონ. კონკურსები უფრო მეტ გამოცდილებასა და დროს მოითხოვს. თუმცა მაღალი დონის კონცერტზე შესაძლებელია ამ ბენდის გაყვანა. ისინი სცენაზე ძა-ლიან თავისუფლები არიან...

– 25 მაისს ჩოხატაურის თეატრის სცენაზე როკ-ბენ-დის სოლო კონცერტი გაიმართა. ეს ბავშვები პირველად წარდგნენ მსმენელის წინაშე. ბატონო გოჩა, როგორი იყო ეს დღე?

– ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საკრე-ბულოს ახალგაზრდული კვირეულის ფარგლებში მო-ვანყვეთ ეს კონცერტი. ჩვენი დებიუტი შედგა. სავსე დარბაზმა და მაყურებლის მქუხარე აბლოდისმენტებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოვედით. არ არსებობს მუსიკალური ჟანრი, რომელსაც არ შევეხოთ, ესენია – კლასიკური და ეთნო ჯაზი, როკი, პოპი და ასე შემდეგ.

– ბატონ გოჩასთან ინტევიუ რეპეტიციის დამთავრე-

ბის შემდეგ ჩაენერეთ და როკ-ბენდის წევრებსაც გავე-საუბრეთ.

თამთა 14 წლის, სოლო გიტარა – ამ ბენდმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

ვიოლეტა მგალობლიშვილი 15 წლის, ვოკალისტი – ბატონი გოჩა არა მარტო მუსიკას გვასწავლის, არა-მედ ის არაჩვეულებრივი მრჩეველია, როგორ მოვიქცეთ ქუჩაში, საზოგადოებაში. როგორ ჩავიცვათ და ასე შემ-დეგ.

სალომე 15 წლის, ვოკალისტი – რეპერტუარის შერჩე-ვაში ვიღებთ მონაწილეობას, ბატონი გოჩა ითვალისწი-ნებს ჩვენს აზრსაც. ჩემი თანატოლების აზრსაც დიდ ყურადღებას ვაქცევ, რადგან ისინი ჩვენი გულშემატიკი-ვრები არიან.

ნიკოლოზი 14 წლის, დრამერი – ჩვენ ერთმანეთს ვე-ხმარებით, ერთმანეთის შენიშვნებსაც ვითვალისწინებთ. თითქმის ყველა ინსტრუმენტზე ვუკრავთ და პრობლე-მებსაც ადვილად ვძლევთ.

ჟურნალი **გურიაREGION**-ი წარმატებას უსურვებს ბავშვებს და მათ ხელძღვანელს.

ნატო ჩიგოგიძე

ვიტოლდე მარტანი



ვიტოლდს ფრანგი და რუსი მშობლები ჰყავდა. ის თბილისში დაიბადა და გაიზარდა, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. თბილისის ჯონსერვატორიის მესამე კურსი ექსტერნად დახუ-რა. ჩვენი ყურადღება მის მიერ დანერგულმა ტექ-სებმა მიიპყრო, ეროვნებით ფრანგი და რუსი ასე ქართულად აზროვნებდეს, იშვიათი შემთხვევაა.



ქართული საუნჯე

მთის ფერდობზე ხევის ზიწსა,
ვაზი დვას და ნაყოფს ისხამს,
ეს ხომ არის სასწაული,
თუ არა და მადლი ღვთისა.
ის დვას მარტო, მარტოდმარტო,
ნუთუ ჩვენ მას ვერ დავიცავთ?!
ვაზი არის ჩვენი არსი
და ნობათი ჩვენი მიწის,
მასზედ კარგი თუ რამ არის,
მე თუ მკითხონ, არვინ იცის.

ვეტერანებს

აკურთხე ღმერთო ეს მხარე,
ნაიარევი წარსულით,
მრავალტანჯული, მაინც მხნე
ეს მკველი მოდგმა ქართული.
ვეტერანები უოვლადცნობილნი,
ხალხად აღსავსე გამოცდილებით,
შრომით და ბრძოლით ქვეყნის ერთგულნი,
მათი უდავო დამსახურებით.
ქმედება მათი ასე უბრალოდ,
არ შეფასდება, განწმუნებთ ვეკლას,

ზოგი ჩვენგანი ფიქრობს ამაოდ,
რომ ვეტერანი არ ელის შეკლას.
ქართველებს ჰყავდათ და ეოვლებათ
ვეტერანები მრავალ სფეროში,
მაგრამ განგებამ გვარგუნა სვედრად,
საუკუნეების განმავლობაში,
სიცოცხლის ფასად, ფარ-ხმალით სეღში,
ჩვენი სამშობლო დაგვეცვა მედგრად!
ვეტერანებო, ჩვენო ვაჟკაცნო,
უცვლელი იყოს ეს შემართება,
დარჩით დღეგრძელები ქვეყნის იმედად,
არ მოიშალოს ეოვლად ეს მცნება.

ბაჩყალი მთხრობის მსახიობები ოვსიით მხვდნენ



არტგენელები ერთმანეთს არასდროს ეკითხებიან – როგორ ხარ? თუ არტ-გენზე მიხვედი, ყველაფერი კარგად არის...

ქალაქ ქუთაისში 12 ივლისს გამართულ ფესტივალზე გამოვლენილი გურიის ანსამბლები – იადონი, ვახტანგური, ხელხვაი, ბავშვთა სალოტბარო სკოლის გუნდი, ნართი, მანდილი და გურული ბიჭები თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, არტ-გენის ფესტივალზე მიიწვიეს. კონცერტის დასასრულს თბილისელი და უცხოელი მსმენელები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. **რას ჩივი, რომ ჩივი – რას ნიშნავს?** – იკითხა ერთ-ერთმა ქალბატონმა, გვერდით მჯდომმა გურული დიალექტით ნამღერი ფრაზა აუხსნა.

გურიაREGION-ის რედაქციას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მომღერლები დაგვიკავშირდნენ და არტ-გენის ფესტივალზე მიგვიწვიეს.

ანსამბლი ნართი 2008 წლის დეკემბერის თვეში შეიქმნა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ნართი ინსტრუმენტების კრებულს ნიშნავს, საკრავების მრავალფეროვნებით გამორჩეული ანსამბლი მსმენელების წინაშე ხალხური სიმღერების რემიქსით წარდგა და დიდი ოვაციაც დაიმსახურა. მრავალი ფესტივალის ლაურეატს, ვარდო თოდრიას 85 წელი შეუსრულდება, ნართი 5 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადება. ანსამბლის წევრებია – **ნინო სიხარულიძე, ელზა სიხარულიძე, ინგა შათირიშვილი, გელა ცინცაძე, გიორგი ბრეგაძე, გია ზვინჩიაშვილი, ზვიად ბერძენიშვილი, ბაჩო სიხარულიძე, ბექა ჯინჭარაძე და დათო თოდრია.**

კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი მანდილი წარდგა მსმენელების წინაშე, რომლის ხელმძღვანელია **ლეილა კოტრიკაძე, წევრები – ლედი რამიშვილი, ზოია დუმბაძე, ნანი საჯაია, დალი კეკელიძე, მაკა ჩხიკვაძე და მთვარისა კეკელიძე.**

– რომელი ხალხური სიმღერა გიყვართ? – ვკითხეთ ანსამბლის ხელმძღვანელს.

– მარიკელა ჯამის ქალო. არტ-გენზე ხუმრობით მარიკელას გვეძახიან. მართალია, გურიიდან დიდი გზის გამოვლა გვინევს, მაგრამ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.

– გურული ბიჭები არტ-გენის ფესტივალზე მეორე წელია გამოდიან. ეთნოჯაზი ახალი მიმართულებაა, განსხვავებული სტილი უფრო მოსწონთ, ჩართულია ჯაზური ელემენტები, ყველა გურული სიმღერა თავიდან ბოლომდე ჯაზია – გვითხრა ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა გოჩა გათაშვილმა. **ჯაზ-ბენდის წევრებია – გელა ცინცაძე, ნოდარიკო ცინცაძე, დიმიკო ბარამიძე, გუგა ანთიძე, გოგი თავართქილაძე და თემურ ჩხიკვაძე.**

– რა არის ბატონო გოჩა გურული სიმღერის მთავარი ხიბლი?

– ეს არის მდიდარი პოლიფონია, ტრადიციებიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა გურული სიმღერა. სამეგრელოს პოლიფონია წყნარი და სევდიანია, სვანური მედიდური, გურული მკვირცხილი, იუმორით სავსე, წერტილოვანი კბენები იციან, რაც სიმღერაშიც აისახება. გურია, მართლაც, ნიჭის საბადაოა.

– როგორ უნდა დაინტერესოთ ახალგაზრდები?

– პედაგოგი პროფესიონალი უნდა იყოს, ბავშვს ის მიმდინარეობა თამაშ-თამაშ შეაყვაროს, ძალდატანებით არაფერი გამოვა. რეპეტიციებზე ბავშვები დიდი სიხარულით მოდიან. ხელისუფლებას ჩვენს მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ლელა სურმავა

მსოფლიო პოლიფონიის სენზარი

გურული პოლიფონია ამოუხსნელი ფენომენია. მკვირცხლ, დინამიურ სიმღერებში მათი ხასიათი იკვეთება. ცნობილმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ბრძანა – ახალგაზრდობისას ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერი, კერძოდ გურული სიმღერა რომ მომესმინა, ჩემი შემოქმედებითი გზა სხვაგვარად წარიმართებოდაო. სახელმწიფო ანსამლ ბასიანის წევრი გიორგი დონაძე ექვსი თვეა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ხელმძღვანელობს. მეორე ცენტრი ოზურგეთში შეიქმნება. ინიციატივა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მოიწონა და დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა. გურული პოლიფონიით ახალგაზრდების დაინტერესება იმ უწყვეტი ჯაჭვის კიდევ ბევრი სამომავლო რგოლია, რომელსაც მომავალი თაობა, წინაპრების მსგავსად, ღირსეულად გააგრძელებს.

ამ ინიციატივის გახმაურების დროს გურულეების მარიფათმა დადებითი როლი შეასრულა. განსაკუთრებით იაქტიურეს ვასილ ჩიგოგიძემ, ავთანდილ სურგულაძემ და საყოლა სალუქვაძემ. ოზურგეთის ცენტრში საკმაოდ დიდი ფართობის შენობა გადმოგვეცა.

– რა ეტაპზეა ახლა ეს პროცესი?

– 15-20 თანამშრომელი ჩვენ დაქვემდებარებაში გვეყოლება. პროექტის შექმნაზე კონკურსი გამოვაცხადეთ, მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად გავიტანეთ, შემდეგ გამარჯვებული სამშენებლო კომპანია თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ შენობას დადგინდა ვადაში ჩაგვაბარებს. ოზურგეთში თბილისზე ბევრად უკეთესი ხმის ჩამწერი სტუდია იქნება, საგამოფენო დარბაზში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი ექსპონატების, სახვითი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ფოტოების გამოფენა მოეწყობა. შეიქმნება ბავშვთა გუნდი, პირველ ეტაპზე სწავლება უფასო იქნება. დაენიშნავეთ ფოლკლორისტს, რომელიც დაისახავს პრიორიტეტს, თუ რომელი სიმღერები ჩაინეროს. სოფლებში მოუწვევთ გასვა. გიორგი სალუქვაძის აღდგენითი ცეკვები უფრო გამტკიცდება. აჭარაში, სვანეთში და სამეგრელოში გაიხსნება სალოტბარო სკოლები, მათ ქალაქ ოზურგეთ-



თან ექნებათ კოორდინირება.

– როგორ წარიმართება პროცესები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში?

– ლანჩხუთში მსგავსი ტიპის სკოლა გახსნილია, რომელიც მიიღებს სახეცვლილებას, ამიტომ არ ვქეძებით. ჩოხატაურში რთული ვითარებაა, მომავალი წლიდან იქ არსებულ მდგომარეობას შევცვლით. გურიას ერთ ჭრილში განვიხილავთ. ამ კუთხეს დიდი მუსიკალური კულტურა აქვს, ხალხური სიმღერისა და გალობის ტრადიციები უნდა აღდგეს. სხვა რეგიონების წარმომადგენლებს არ უნდა ეწყინოთ, გურია მსოფლიო პოლიფონიის ცენტრია. სახელმწიფო ანსამბლი ბასიანი 2010 წელს აშშ-ში იმყოფებოდა, ამერიკელებმა გურული და კახური სიმღერები მოითხოვეს. მაღალი ხარისხის, დახვეწილ პოლიფონიას მთელი მსოფლიო აღიარებს.

– ქართველები სათანადოდ ვერ ვაფასებთ?

– ბოლო 25 წლის მანძილზე რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ხალხს სიმღერაზე ფიქრის საშუალება არ მისცა, მიუხედავად ამისა უხილავი ძაფებით შეკრული კავშირი არ განყდა. ახლა ძლიერი შეძახილი გვჭირდება. კრიმინალური და საუკეთესო ანსამბლებიც გვეყოლება. თანდათან მიდის ძველი თაობა, ერთი წელი ჩვენთვის ასი წლის ტოლფასია, შესაძლოა იმ ადამიანს ველარ ჩაუსწრო. ამიტომ ისეთი ჯგუფი უნდა შევქმნათ, რომელიც დასავლეთ საქართველოს წელში შეუვარდება, ჩანაწერებს გამოგვიგზავნიან, დავამუშავებთ და დავაარქევებთ. 2017 წლის ჩათვლით 30 ასეთ წარმომადგენლობას გავხსნით. ყველა მუნიციპალიტეტში 2-3 ლოტბარს დავასაქმებთ. მოვანყობთ ფოლკტურებს, ჩამოსული ტურისტები და ათვალიერებენ კუთხის ღირშესანიშნაობებს, დააგემოვნებენ სამზარეულოს, გამოვცემთ ბროშურებს, შეიძენენ დისკებს, ადგილობრივებს შემოსავალი გაუჩნდებათ. ჩვენ სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, ანზორ ერქომაიშვილთან შეთანხმებით ვმოქმედებთ, ყველას მოეხსენება მისი დიდი ავტორიტეტი.

– იშვიათია პროფესიონალი მგალობლები.

– საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში პროფესიული გალობის მიმართულება დავაარსეთ, რომლის ხელმძღვანელია სიმონ ჯანგულაშვილი, ხოლო კოორდინატორი ლევან ვეშაპიძე. კარგად ვიცით, ბავშვმა რა უნდა შეისწავლოს. 4-5 წელიწადში დადებით შედეგს მივიღებთ.

– რა როლი უნდა შეასრულოს ადგილობრივმა მედიამ?

– ჩვენი სულიერი საგანძური, არამატერიალური კულტურა იუნესკომ აღიარა, საქართველო ფოლკლორით, განსაკუთრებით ხალხური სიმღერით მდიდარი ქვეყანაა, ამ მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე გამორჩეული ხართ, ამიტომ მისი პოპულარიზაცია უნდა მოახდინოთ. ჩვენ დროებით შენობას დავიქირავებთ, შემდეგ ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გადავალთ. დასავლეთ საქართველოში კულტურული ცხოვრება და ისტორიულად გაბმული ჯაჭვი კიდევ უფრო გამყარდება.



გიორგი დონაძე

მუსიკალური აზროვნების სივრცეები

მამუკა გიორგაძეს თავის ბაბუაზე უნდა მოეთხრო, დასაწყისში გურულუბის თანდაყოლილ თვისებებზე გვესაუბრა.

– უბრალო გურული გლეხიდან უდიდეს სიბრძნეს მოისმენდი, ამ აზრამდე ის დამოუკიდებლად მივიდა. მართალია, მათ განათლება არ ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ისეთი ღრმა დატვირთვის წინადადებებს ამბობდნენ, ვგრძნობდი დიდ ხალხთან მქონდა საქმე.

– როგორ ხსნი ახლანდელ სიღრმეს?

– ეს მათი შინაგანი გენეტიკა, ზრდილობა, ფესვები იყო, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდნენ. ისინი ნამდვილი ქართველი მოღვაწეები იყვნენ. თუ შენ კარგი ერის შვილი ხარ, ამავე დროს შენ საკაცობრიო განძი ხარ.

– ეს რა განძია და რამ გადაგვარჩინა?

– შეუფასებელი განძია, რაც კარგ ქართველობას ნიშნავს. ჩვენ გაცნობიერებულმა პასუხისმგებლობამ გადაგვარჩინა.

– რა არის გურული იუმორი?

– გურული იუმორი გენეტიკური ნიჭია, ის მრავალმხრივია, განმუხტვის, თავდაცვის, შეტევის და კრიტიკის საშუალებაც არის. თავისი ბუნებით უაღრესად კაცთმოყვარეა, იუმორი არ გაძლევს საშუალებას, სხვაზე მალა დადგე.

– ეს არ არის ცინიზმი?

– ქართულ იუმორში ცინიზმი არ არის. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ გურული და კახური იუმორი ყველაზე მაღალ საფეხურზეა. ადამიანის დაცინვა ქართველის ბუნებაში არ დევს. ცინიზმი შემდგომ პერიოდში შემოვიდა.

– ასეთები იყვნენ გლობალურად მოაზროვნე გურულები?


– რა თქმა უნდა, დღეს კი წარსულის ნოსტალგიით ვცხოვრობთ.

მამუკა გიორგაძე ცნობილი მომღერლის ვანო გიორგაძის შვილიშვილია. სოფელ გუთურში ბავშვმა ასე აღიქვა ირგვლივ მყოფი ხალხი. გიორგაძეების შტო მესხეთიდან წამოვიდა და გურიაში დასახლდა. ვანოს წინაპრები ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მი-

დიოდნენ მოსალოცად. მამა ადრე გარდაეცვალა, ოჯახის და დედამისი შვილების ტვირთი მას დაანვა. ახალგაზრდა ბიჭს შემოქმედებასა და ოჯახს შორის უნევდა არჩევანის გაკეთება. ვანო გიორგაძე ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში იბრძოდა. თავის კუთხეში საკმაოდ დაფასებული კაცი იყო.

1965-1968 წლებში გურიაში ხალხური სიმღერების ჩასანერად ფრანგი მუსიკათმცოდნე ივეტ გრიმო ჩამოვიდა. უძველესი სიმღერები შემდეგ თავის სამშობლოში, საფრანგეთში გაავრცელა. ანზორ ერქომაიშვილმა ვანოს გუნდის ჩანაწერებს საფრანგეთში მიაკვლია და მის შთამომავალს, მამუკა გიორგაძეს ჩამოუტანა.

ანსამბლ გურიის ლოტბარმა და კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ნაკაშიძემ რედაქციას ასეთი იდეა მოგვანოდა, ჟურნალში შეიქმნას რუბრიკა – **არავინ და არაფერი იქნება დავიწყებული.** წინა ნომერში გარსევან სიხარულიძე-



ვანო გიორგაძე

ძეები. ვანოს ოჯახში იკრიბებოდნენ მომღერლები – ბანი ლადიმე ბერძენიშვილი, ერმალო სიხარულიძე, თეოფილე ლომთათიძე, ერასტო ცინცაძე, არსენ პაიჭაძე, კალისტო რამიშვილი, დავით მათითაიშვილი, დათიკო გიორგაძე. ვანო საუკეთესო შემსრულებელი, ასევე კარგი მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო. მან სიმღერის ყველა ხმა იცოდა. ის სარაიონო კულტურის სახლის გუნდს ხელმძღვანელობდა, შემდეგ ეს მისია ლადიმე ბერძენიშვილმა ითავა. ვანოს საკოლმეურნეო და სასკოლო ანსამბლები ჰყავდა. მის ოჯახში გურულ სიმღერებს ინერდნენ პროფესორები – გრიგოლ კოკელაძე და გრიგოლ ჩხიკვაძე. ვანო გიორგაძემ ყველა კუთხის სიმღერები კარგად იცოდა. დიდ მომღერლებს თავიანთი ხელწერა და ვარიანტები ჰქონდათ. ანზორ ერქომაიშვილმა გადაცემაში, რომელიც ქართულ სიმღერას მიეძღვნა, ბრძანა – ხუხუნაიშვილმა ისე კარგად იმღერა, ყველა ვარიანტი ამონურა. ბოლოს სიმღერაში გაიცინა, რასაც ვანო გიორგაძე კირკიცს ეძახდა.



ირინა მუსხათაიძე

ზე, ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილებზე მოგითხრეთ. ახლა ვანო გიორგაძის და ერასტო ცინცაძის შემოქმედებას გაგაცნობთ.

ვანო გიორგაძე 1891 წელს დაიბადა. იმ დიდოსტატი მომღერლების რიცხვს მიეკუთვნებოდა, როგორებიც იყვნენ – სიმონიშვილები, ერქომაიშვილები, ბერძენიშვილები, ხუხუნაიშვილები, ჭკუასელები და სიხარული-

ბავშვას სურდა შვილიშვილს მომღერლის პროფესია აერჩია. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მამუკა გიორგაძე თავად ვერ მღერის, თუმცა ხალხური სიმღერების დიდი მოტრფიალეა.

ლელა სურმავა

სწორედ აქ, ამ ქვეყანაში...

საქართველო უსაზღვროდ მდიდარია მუსიკალური შემოქმედების ტრადიციებითა და კუთხეთა შორის ფოლკლორის ხმათა მრავალფეროვნებით. ცხადია, ყველა კუთხემ თავისი ყოფა-ცხოვრების და ადგილობრივ მკვიდრთა ხასიათის თავისებურებების მიხედვით საუკუნეების განმავლობაში თავისი ხელთუქმნელი საგანძური შექმნა, მაგრამ გურიას დამსახურებულად, განსაკუთრებული ადგილი უკავია ხალხური შემოქმედების ისტორიაში და როგორც გალაქტიონი ამბობს: „ჩუმაღ! ვილაც მღერის მთაზე! რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში!... არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“... სწორედ აქ, ამ ქვეყანაში... ამ პატარა თვალწარმტაც – კუთხეში ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში 1890 წლის 2 იანვარს დაიბადა გურული სიმღერებისა და საგალობლების შემსრულებელი ერასტო ცინცაძე, ხალხური სიმღერების დიდოსტატის, გლეხი მოსე ბეროს ძე ცინცაძის ოჯახში. პირველი მუსიკალური განათლება ერასტომ მამის, მოსე ცინცაძის დახმარებით მიიღო.

გურიაში ყოველი მეორე ადამიანი მღერის. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ დიდი მუსიკალური

ტრადიციების მქონე ოჯახში გაზრდილი ერასტოსთვის სიმღერა ცხოვრების თანმდევი და განუყოფელი ნაწილი გახდა. როგორც ამბობენ, უნიკალური ბანის ტემბრს ფლობდა და ჰქონდა საოცარი დიაპაზონი. გადმოცემით, ერთ-ერთი ლხინის დროს, როცა თავისი ბანით დაიგუგუნა, სუფრაზე სანათი ჩამქრალა...

ერასტო ცინცაძის შემოქმედება დაკავშირებული იყო ხალხური სიმღერების დიდოსტატთან, როგორც იყო ვანო გიორგაძე, მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა თაობა აღიზარდა ჩოხატაურის რაიონში.

ერასტო ცინცაძეს გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელს, ახლაც მონივნებით და პატივისცემით იხსენებენ იმ დროისათვის ახალგაზრდა და ამჟამად ხელოვნების მესვეურები, ისინი, ვისაც მესხიერებაში ჯერ კიდევ შემორჩათ მისი სხივჩამდგარი, კეთილი მზერა, ყაბალახით თავგადაკრული (რომელსაც არასოდეს იშორებდა), თავმომწონედ დოინჯშემოყრილი, მაღალი ხმელ-ხმელ ტანზე, დახვეწილი ჩვეული გურული მანერებით და ღრმა შინაგანი ინტელექტითა და ამოუწურავი იუმორის მარაგით, ერთხელ თა-



ერასტო ცინცაძე

ვისი შვილის აკადემიური მოსწრებით უქმყოფილოს, (რომელსაც ფრიადი მხოლოდ სიმღერაში და ფიზალზრდაში გამოყვა), მასწავლებლებისთვის მშობელთა კრებაზე დაუჩივლია – **აი სიმღერა მე ვასწავლე, ჯანმრთელი რომ არის ავიც ჩემი დამსახურებაა და თქვენ რა ასწავლეთო?!**

სიყვარულს უნანილებდა ყველას და იყო სამაგალითო მეოჯახე, კარგი მამა, მეგობარი. სიმღერის ხელოვნების საიდუმლოს ყველას უზიარებდა – მომავალ თაობას, თავის შვილებს. ოჯახში ყველა მღეროდა, მისი დამსახურებით თავისი ვაჟი, ბეგი ამ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყო.

ჭეშმარიტი მომღერლისთვის სიმღერა მხოლოდ სცენაზე არ არსებობს, ერასტო ცინცაძისთვის სიმღერა ცხოვრების წესი იყო, სწორედ ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ ქართული ხალხური სიმღერებისა და ფოლკლორის უნიკალური მარგალიტები, როგორც ეროვნული სიმდიდრე, არ დაიკარგა და ჩვენამდე იმ საგანძურის სახით მოვიდა, რომლითაც დღეს ასე ვამაყობთ, როგორც მსოფლიო ხელოვნების ღირსეული წარმომადგენლები.

ქეთევან სიმონიშვილი



ჩოხატაურის სამრევლო სკოლა

2008 წელს შემოქმედელი მიტროპოლიტის მეუფე იოსების ლოცვა-კურთხევით ჩოხატაურის ყოვლანმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა დაარსდა.

სკოლა ახორციელებს დანეციბით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის პროგრამებს. სკოლა ექვემდებარება განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს. სამრევლო სკოლის რექტორია შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე).

საქართველოს საპატრიარქოს დახმარებით გაუმჯობესდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლას აქვს თანამედროვე ტიპის კომპიუტერები და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. გარემონტდა და კეთილმოეწყო სკოლის სხდომათა დარბაზი, ბუფეტი, მოსამზადებელი ჯგუფის სამუშაო ოთახი.

ამჟამად სკოლაში 34 პედაგოგია. 7 პედაგოგი სერტიფიცირებულია. ჩოხატაურის სამრევლო სკოლაში ბოლო მონაცემებით სწავლობს 240 მოსწავლე სასწავლებლის გახსნისას, 2008 წელს სწავლობდა 145 მოსწავლე. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში.

2011 წელს სამრევლო სკოლის მოსწავლემ თორნიკე მამალაძემ გაიმარჯვა ეტალონში საქართველოს საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ინტელექტუალურ კონკურსში, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ტარდება. 2012 წლის გამარჯვებული რევაზ ცინცაძე იყო.

სამრევლო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერ და ინტელექტუალური ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში – „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. რომელსაც ხელმძღვანელობს საღვთო სჯულის პედაგოგი ანასტასია ძნელაძე.

2008-2009 წლებში ორივე ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა, პირველი ადგილი მოიპოვეს და მოილოცეს იერუსალიმის წმინდა მინა. 2009-2010 სასწავლო წელს ორივე ასაკობრივმა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი და მოილოცა ტაო-კლარჯეთი. 2010-2011 წლებში უმცროსმა ასაკობრივმა ჯგუფმა მიიღო პირველი ადგილი, უფროსმა ასაკობრივმა გუნდმა მეორე ადგილი. 2014 წელს უმცროსი ასაკობრივი ჯგუფი მოილოცავს იერუსალიმის წმინდა მინას, ხოლო უფროსი ასაკობრივი ჯგუფი ტაო-კლარჯეთს.

სკოლა უშვებს გაზეთს სახელწოდებით: „სარწმუნეობითა და სიყვარულით მოვედით“

სკოლაში წარმატებით ხორციელდება პროექტები:

„ერთი დღე თეატრში“, „ჩემი პირველი სპექტაკლი“, შემოქმედებითად თანამშრომლობა აქეთ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობისა და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრებთან. მოსწავლეები ესწრებიან სპექტაკლებს, ხვდებიან მსახიობებსა და რეჟისორებს.

სკოლას შემუშავებული აქვს კლუბური მუშაობის სტრუქტურა. ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი. „არტისტული ყვავილები“, რომლის წევრები აწყობენ შეხვედრებს ცნობილ მწერლებთან (მოსწავლეებთან სასაუბროდ იყვნენ: გ. დოჩანაშვილი, რ. ჭეიშვილი, ბ. ქებურია) საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მხატვრებთან.

მართავენ პოეზიის საღამოებს. აწყობენ გამოფენებს, სკოლაში საშობაოდ და სააღდგომოდ საქველმოქმედო ღონისძიებები ეწყობა. მოსწავლეები ესმარებიან მოხუცებსა და სოციალურად დაუცველ ბავშვებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნახალისების ფორმები და უკვე მესამე წელია ბათუმის ზურაბ გორგილაძის ფონდი გასცემს 8 აკადემიურ პრემიას წარმატებულ მოსწავლეებზე.

ჩოხატაურის ყოვლანმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა, სამომავლოდ მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტებს განახორციელებს.

ქეთევან კუკულავა



ბახმაროს ეპისკოპოსის ფერისცვალების სახელობის ეკლესია

კურორტ ბახმაროს ცენტრში აგებულ მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის (ზომები 9X9, სიმაღლე 12 მ) ერთ-ერთ კედელზე არის ფილა წარწერით სადიდებლად წმინდისა თანაარსისა, ცხოველისმყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდეს და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ედუარდ (გიორგი) შევარდნაძის პრეზიდენტობისა და შემოქმედელი ეპისკოპოსის იოსების მღვდელმთავრობის დროს, აღვაშენეთ ბახმაროს მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ჩვენ – ცინცაძე გრიგოლ, ჩხიკვაძე მერაბ, ბერძენიშვილი ზურაბ (ხუროთმოძღვარი), ცინცაძე ავთანდილ (მშენებელი), საოხათ სულთა ჩვენთა და შვილთა ჩვენთათვის“...

კურორტ ბახმაროში ეკლესიის აგების იდეა რაიონის გამგებელმა გია ცინცაძემ, მეგობრებს გაუმხილა (1996 წ). რაიონის არქიტექტორს ზურაბ ბერძენიშვილს სთხოვა, ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ხის ტაძრის არქიტექტურა შეედგინა. ეკლესიის პროექტი განიხილეს შემოქმედის საეპარქიო სამმართველოში, შემდეგ საპატრიარქოში და მისცეს მსვლელობა. ადგილი, რომელიც ეკლესიისთვის შეირჩა 1997 წელს (26 ივნისს) აკურთხა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე).

საშვილიშვილო საქმეს მთელი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ რაიონის გამგებელთან ერთად მერაბ ჩხიკვაძე, ზურაბ ბერძენიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, გია სუბელიანი, დავით თალაკვაძე და სხვები.


1997 წლის 19 აგვისტოს ტაძარი იკურთხა და პირველი სადღესასწაულო წირვა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იოსებმა ფოთის ეპისკოპოსის გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) თანამწირველობით, ჩოხატაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარის დეკანოზი გიორგისა (ჯიბუტი) და მეზობელი ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

წირვისა და ლიტანიების დასრულების შემდეგ სახალხო დღესასწაული დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის მისასალმებელი წერილით.

ბახმაროს ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის მისწრაფება

უდიდესი სიამოვნებით შევიტყვე ბახმაროს მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის ამბავი.

სულითა და გულით გილოცავთ ამ საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებას და გულწრფელ მადლობას მოვასწავნებ ამ საშური წამომწყების სულისჩამდგემლებს და ინიციატორებს, მშენებლებს, ყველას ვინც ბოლომდე



მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია

მხარში ედგა მათ.

მით უფრო სასიხარულოა, რომ ბახმაროს სტუმრები ფიზიკურ გაჯანსაღებასთან ერთად სულიერ საზრდოსაც მიიღებენ,

მიუხედავად რთული პერიოდისა, შორს არ არის ის დღე, როცა საქართველოს უნიკალური კურორტები და მატ შორის, ბახმაროც, ღირსეულ ადგილს დაიკავებენ მსოფლიო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერებს შორის.

პატივისცემით ედუარდ შევარდნაძე

გაზეთ „მადლის“ ერთ-ერთ ნომერში დეკანოზი გიორგი ჯიბუტი აღნიშნავს, რომ ქართულ ხის საკულტო ხუროთმოძღვრებაში, ბახმაროს ფერისცვალების სახელობის ეკლესიას ანალოგი ჯერ არ მოეპოვება.

კლდოვან გრუნტზე მოწყობილ რკინა ბეტონის ბაქანზე, ადგილობრივი ჯიშის ხის მასალით, ყელური პრინციპით ნაგები ეკლესია. მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად მედგრად დგას. ყველა დამსვენებელს ერთნაირად ლოცავს და მშიდობით დასვენებას უსურვებს.

ბახმაროში ყოველი წლის ფერისცვალების დღესასწაული (19 აგვისტო) ტაძარში სადღესასწაულო წირვით იწყება და სხვადასხვა სახალხო დღესასწაულებით გრძელდება.

მომზადდა ნათია კალანდაძემ

რაში მდგომარეობს კოლორიცი პიროვნების – ჯონი ბარამიძის ნარმატივის ფორმულა?!

ჩვენი ჟურნალის შემდეგი სტუმარია მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ჩოხოსანი, მწერალი, ბიზნესმენი, ბათუმის კოლორიცი პიროვნება – ჯონი ბარამიძე.

გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მას ბათუმში თითქმის ყველა იცნობს და არაჩვეულებრივად ახასიათებენ. ამბობენ, რომ ეს არის იუმორით, სიკეთით და ყველა კარგი თვისებით დაჯილდოებული ადამიანი.

ჯონი ბარამიძე წარმოშობით ჩოხატაურელია. ის 1946 წლის 9 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში დაიბადა. ობლობაში გაიზარდა, მამა არც კი ახსოვს, რადგან 1946 წელს მოუკლეს, მამინ, როცა ის ჯერ კიდევ 3 თვის იყო. ოჯახის და პატარას პატრონობა დედას დაანვა კისერზე. შემდეგ დედასთან ერთად სოფელ სურებიდან დედის სოფელში, დაბლაციხეში გადავიდნენ საცხოვრებლად და მისი ბავშვობის წლები სწორედ ამ სოფელს უკავშირდება.

1965 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედასთან, ბათუმში დაიდო ბინა. ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, როგორც თვითონ ამბობს, რიგითი მუშიდან დაიწყო და დიდ წარმატებას მიაღწია.

განათლება უკრაინაში მიიღო, კერძოდ კი დონეცკში საბჭოთა ვაჭრობის საინჟინრო – ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, სასკვების ინჟინერ – ტექნოლოგის სპეციალობით, ამავე ფაკულტეტზე ლენინგრადის ინსტიტუტში ხარისხი დაიცვა. შვიდი წელი მუშაობდა მზარეულად რესტორან „მახინჯაურში“, იქედან გადაიყვანეს რესტორან „ბათუმის“ დირექტორად, იქ დაანიშნურეს და დაგადაიყვანეს ბათუმის სასკვების ტრესტის სავაჭრო განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ ვაჭრობის სამინისტროში ვაჭრობის განყოფილებაში. 1981 წლიდან 1991 წლამდე გახლდათ მინისტრის მოადგილე, ხოლო 1991 წელში გადავიდა ბათუმის სასკვების ტრესტის გენერალურ დირექტორად, ტრესტის დაშლის შემდეგ რამდენიმე ობიექტის ბაზაზე შექმნა სააქციო საზოგადოება „გურმანი“ რომელიც დღესაც ფუნქციონირებს და ფირმის პრეზიდენტია.

ჯონი ბარამიძე არის მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, დაახლოებით 5 წელია არის ჩოხოსანი, მას შემდეგ რაც ეს საზოგადოება ჩამოყალიბდა, მონაწილეობას ღებულობს საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. დამსახურებული ეკონომისტი, გამოჩენილი და ყველასგან აღიარებული თამადა, 368 ქორწილში აქ იყო თამადა. ნათამადარი, გამოცემული



ლუილა მიმინოშვილი და ჯონი ბარამიძე შვილიშვილებთან სანდო, ალექსი, მავა და ნინოსთან ერთად

აქვს 8 წიგნი, რომლებიც შეეხება ძირითადად კულინარიას, მათ შორის ორჯერ გამოცა წიგნი „თამადა“, ორჯერ „აჭარული კერძები“, „აჭარული სამზარეულო“, „ტკბილი კერძები“, მათ შორის მოთხრობა „ყაჩაღის ბედი“ და „მოგონებები მერაბ ქაჯაიაზე“, რომელიც ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე იყო.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და 4 შვილიშვილი, უმცროსმა ქალიშვილმა წელს დაამთავრა თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჟურნალი „გურიაREGION“ კოლორიცი პიროვნებას, ჯონი ბარამიძეს საკუთარ ფირმაში ესტუმრა. ვიდრე მას ვნახავდით, მის კოლექტივს გავესაუბრეთ, სადაც თანამშრომელთა უმრავლესობა გურულები არიან.

როგორც სააქციო საზოგადოება „გურმანის“ დირექტორმა, მურმან გოგუაძემ და ამავე ფირმის მთავარმა ბუღალტერმა, ნუნუ მგელაძემ გვითხრეს, ის ყველა სიკეთესთან ერთად ქველმოქმედიც არის რაზე საუბარსაც ერიდება, თუმცა მის სახელს უამრავი სასიკეთო საქმე უკავშირდება. როგორც ქალბატონი ნუნუ აღნიშნავს, ბატონი ჯონი ჩოხატაურის დიდი მოყვარულია, კერძოდ კი თავისი სოფლის, სადაც ყოველ შაბათ-კვირად დადის და უფლის თავის კარმიდამოს. მას თანამშრომლები შრომისმოყვარე და გულისხმიერ პიროვნებად ახასიათებენ.

თანამშრომლებთან გასაუბრების შემდეგ „გურია REGION“-ს ბატონ ჯონის კაბინეტში ვესტუმრე.

რატომ გადანყვიტით ბათუმში დასახლება, რამ გა-

ნაპირობა ეს?

– ობლობაში გავიზარდე, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმში, დეიდასთან წამოსვლა გადავწყვიტე, აბა სხვაგან როგორ წავიდოდი, სხვა წასასვლელი არ მქონდა. თუმცა ჩემს საყვარელ სოფელში ხშირად დავდივარ, ვერ ვძლებ ისე, იქ რომ არ მივიდე, ჩემი საყვარელი სოფელი რომ არ მოვიწახულო, არ მივესიყვარულო ადგილს, სადაც დავიბადე და სიყმაწვილის წლები გავატარე რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას, რთული გზა გავიარე, ყოველგვარი დახმარებისა და პატრონის გარეშე დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი საზღვარგარეთ, დავიცავი ხარისხი და დღეს ვარ ის, ვინც ვარ.

– რას ნიშნავს თქვენთვის გურია და გურულობა?

– გურულობა ყველაზე დიდ ქართველობას ნიშნავს, ქვეყნად არ მეგულება ისეთი კუთხე, როგორც გურიაა, გურულობა ჩემთვის დიდი სიამაყე და დიდი მოვალეობაა, რამეთუ მთელ საქართველოში ცნობილი კუთხეა იუმორით, ენამოსწრებულობით, მახვილგონიერებით და სხვა მრავალი დადებითი თვისებებით.

– როგორ შეფასებდით დღევანდელ სიტუაციას, როგორია თქვენი, როგორც ბიზნესმენის ხედვა, გაუმჯობესდა თუ არა პირობები ბიზნესმენებისთვის საქართველოში?

– ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ მე უფრო მეტი მინდა, ეს მარტო არაა საკმარისი. იმისათვის, რომ ქვეყანა წინსვლის გზას დაადგეს, საჭიროა ქარხნებისა და საწარმოების შექმნა. ვწერვიულობ, როცა ქუჩაში ამდენ დაუსაქმებელ ახალგაზრდას ვხედავ, ვფიქრობ, რომ მათ ინტერესიც ნაკლები აქვთ,

მხოლოდ ქუჩაში დგომითა და „ყიალით“ არაფერი გამოვა, უსაქმურად ყოფნა ახალგაზრდებს ნარკოტიკების მოხმარებისკენ უბიძგებს, რაც ძალიან ცუდად მოქმედებს საქართველოს გენოფონდზე.

– როგორც ვიცით თქვენ ცნობილი თამადა ბრძანდებით, რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი სადღეგრძელო?

– ჩემი საყვარელი სადღეგრძელო საქართველოზე და დედაზეა, ეს ის სადღეგრძელოებია, რომლებსაც დისი სიყვარულით წარმოვთქვამ.

– რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?

– შრომაში, შრომაში და ისევ შრომაში. ეს არის წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი თვისება. დაუზარელი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს.

– ბატონო ჯონი, როგორც ვიცით თქვენს სახელს არაერთი ქველმოქმედება უკავშირდება, ვიცით, რომ თქვენივე სოფელში ააგეთ ტაძარი?

– დიახ, მინდოდა ჩემი სოფლისთვის რაღაც გამეკეთებინა და დაბლაციხეში ავაშენე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. დარწმუნებული ვარ, ჩემს სოფელს შეეწევა.

– რას ნიშნავს თქვენთვის ბათუმი და ბათუმელობა?

– ბათუმი ჩემს მშობლიურ ქალაქად მიმაჩნია, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბათუმის პრესტიჟი დავიცვა, იყოს სუფთა, ქათქათა ქალაქი, სტუმართმოყვარე და იმ ტრადიციის გამგრძელებელი, რაც ბათუმელებს გააჩნია, მიმაჩნია, რომ ბათუმი ნომერ პირველი ქალაქია საქართველოში.

ნინო ონიანი



ჯანი ბატამიძე ჩოხოსანთა კავშირის ქვერუხთან ერთად

მიყვარს გუნისიპალიტის თეატრი

გვესაუბრება თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი მაკა შალიკაშვილი. მისი როლები მაყურებელს უნახავს რუსთაველისა და ვაკის სარდაფის თეატრებში, ასევე მარჯანიშვილისა და ილიაურის თეატრებში. წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში.

ჩემი გვარის წარმომავლობით ვამაყობ. შალიკაშვილები გურიშიც ბევრია და აღმოსავლეთშიც, თუმცა ძირითადი ერთი გვარს, მესხეთ-ჯავახეთიდან ვართ. კასპის რაიონის სოფელ იგოეთში დავიბადე. მამას ძალიან უნდოდა ბიჭი, მაგრამ ქვეყნიერებას მე მოვევლინე. დამარქვეს მაკა. მიყვარს ჩემი სახელი. სოფელში შემდეგ ცოტას თუ ერქვა ეს სახელი. საერთოდ მოწყენილი ბავშვობა მქონდა. მხოლოდ ზაფხულში ვიყავი მხიარული, როცა თბილისიდან არდადეგებზე ჩემი თანატოლები ჩამოდიოდნენ. მათთან მაქსიმალურად დიდ დროს ვატარებდი, ვთამაშობდით, ვერთობოდით და თან მეშინოდა, რომ ზაფხული მალე დასრულდებოდა, მერე შემოდგომაც მიიწურებოდა და კვლავ ჩემთვის მოსაწყენი ზამთარი დაიწყებოდა. ამ დროს ძირითადად სახლში ვიყავი, სარკის წინ ვიჯექი და გამოვხატავდი ჩემს ემოციას – სიხარულს, გაკვირვებას, აღტაცებას და ასე ძალიან მიყვარდა ლექსები და სარკის წინ ვკითხულობდი მთელი გრძნობით. მოკლედ ერთი მსახიობის თეატრი მქონდა სახლში.

– როდის გადანევიტეთ მსახიობობა?

– სკოლა რომ დავამთავრე, სერიოზულად ვფიქრობდი, რომელი პროფესია ამერჩია. ჩემი კლასელები ბევრი სოფელში გათხოვდა, იქ ჰპოვეს სიყვარული და ბედნიერად ცხოვრობენ. მე ვერ ვპოვე სოფელში შვება და თბილისში ჩამოვედი. მამაჩემის მეგობარი და ჩემი ნათლია გახლავთ მსახიობი გივი ბერიკაშვილი, რომელმაც იცოდა ჩემი თეატრისადმი მიდრეკილება და მისი რჩევით თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, სამსახიობო ფაკულტეტზე. მოვხვდი შესანიშნავი რეჟისორისა და პედაგოგის შალვა განერელიას ჯგუფში. ბატონი შალვა თვლიდა, რომ მე ვიყავი ტრაგიკოსი მსახიობი, მაგრამ მეორე კურსზე, როცა ლევან



მაკა შალიკაშვილი

წულაძე მოვიდა და დადგა ბრეტის „საქორწინო ღამე“ სახასიათო როლი შევასრულე. შემდეგ ბევრი კომედიური და სახასიათო როლი ვითამაშე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი რუსთაველის სარდაფის თეატრში ბატონ ლევან წულაძესთან დავინეგო მუშაობა. მასზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო. სულ სხვა კუთხით დამინახა. როცა გამიცნო თქვა, ეს გოგო უცნაური გარეგნობისააო და მართლაც უცნაური ისტორიის მქონე გმირებს ვასრულებდი. ისე დგამდა სპექტაკლებს და ისე აწვდიდა მაყურებელს ამა თუ იმ პერსონაჟს, რომ ვიყავი ძალიან დასამახსოვრებელი. სწორედ სარდაფის თეატრიდან გავხდი პოპულარული. ვისაც ბატონ ლევანთან უმუშავია, დამეთანხმება, რომ ეს არის ადამიანი – დღესასწაული. დღეს თუ რომელიმე რეჟისორთან მენატრება მუშაობა, ეს ლევან წულაძეა.

ასევე კინოში დამაკავა გიორგი შენგელაიამ. არაჩვეულებრივი მსახიობების გვერდით ვმუშაობდი, ესენი გახლდათ – რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ბაადურ წულაძე, ნანული სარაჯიშვილი და სხვები. მათთან ურთიერთობა ერთად წუხილი და ერთად სიხარული – ამ ადამიანებისგან ბევრი რამ ვისწავლე. ოთარ შამათავამ გადამიღო ფილმში „ურსუსი,“ სადაც ერთ-ერთ მებრძოლს ვასრულებ. ფილმში განვრთნილი დათვი არის მთავარი მოქმედი გმირი. ერთხელ გადასაღებ

მოედანზე, მასთან სურათის გადაღება მოვინდომე და ადამიანურად ხელი გადავხვიე, მან კი „მსუბუქად“ დამტორა. თუმცა ყველაფერი დასრულდა.

– რა თვისებები უნდა ჰქონდეს მსახიობს?

– ბატონი შალვა განერელია ხშირად გვეუბნებოდა – მსახიობი აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ერთხელ დიდი კომპლიმენტი მივიღე. ადამიანმა რომელმაც არ იცოდა, ვინ ვიყავი, მითხრა – როგორ გავხარ მსახიობსო. მსახიობი განათლებული უნდა იყოს. თავისი პენი ჰქონდეს. მასთან ყოფნა სიხარულს განიჭებდეს, შეიძლება ცხოვრებაში არ ანათებდე, მაგრამ სცენა უნდა გიხდებოდეს, მაყურებელი მოუთმენლად ელოდებოდეს შენს სცენაზე გამოჩენას. სახელი და გვარიც უღერდეს. მსახიობს ნიჭთან ერთად, ასევე დიდი შრომა ჭირდება.

– რომელია თქვენი საოცნებო როლი?

– ასეთი როლი არ მაქვს, მსურს სცენაზე ვიდგე და ვითამაშო. თუნდაც ეპიზოდური როლი იყოს. რეპეტიციები მენატრება.

– როგორც ვიცით, ძალიან გიყვართ გურულები.

– პირველი ქორწინებიდან მყავს გურული შვილი თინანო, მისი მამა კი გახლავთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი რატი გოგუაძე. ლანჩხუთში როცა ჩავდიოდით ყოველთვის მოხიბლული ვიყავი გურულების იუმორითა და სტუმართმოყვარეობით. განსხვავებულები ხართ გურულები, ისეთი სწრაფები, ვფიქრობ გურული რომ ვიყო, რასაც ერთ თვეში ვაკეთებ, ალბათ ერთ დღეში გავაკეთებდი. ასევე დადებენ, მაინტერესებს ჩოხატაურის რეპერტუარი, მათი მუშაობა. ისეთი სკოლა მაქვს გავლილი, შემიძლია ჩემი გამოცდილება მათ გავუზიარო. მიყვარს მუნიციპალიტეტის თეატრები. კასპში არ არის თეატრი, თორემ წავიდოდი იქ და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი. საჭიროების შემთხვევაში ჩოხატაურის სახალხო თეატრთან სიხარულით ვითანამშრომლებ.

ქეთევან კუკულავა

მწვანე მალამოს უნიკალური თვისებები

სამკურნალო საშუალების **მწვანე მალამოს** ავტორი ახალგაზრდა ექიმი-პედიატრი ნინო შიხაშვილი გახლდათ. ფიტოთერაპიით ის ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესდა. საქართველოში არსებული სამკურნალო მცენარეების თვისებები საფუძვლიანად შეისწავლა და ახალი პრეპარატის შექმნა გადაწყდა. მცენარეულმა პრეპარატმა გაიარა ჯერ წინაკლინიკური, შემდეგ კლინიკური აპრობაცია GLP პროგრამით, მრავალ ასეულ ავადმყოფზე საქართველოს წამყვან კლინიკებში.

ნინო შიხაშვილი მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა. მის მეუღლეს სანდრო ყოჩიაშვილს 9 წლის განმავლობაში არ ჰქონდა წამლის გაგრძელების საშუალება. ბოლო 4 წელია, რაც **მწვანე მალამო** სააფთიაქო ქსელში შევიდა.

სხვა ცნობილი მალამოებიდან განსხვავებით, **მწვანე მალამო** შეიდგინა ერთმანეთის მოქმედების გამაძლიერებელ სამკურნალო მცენარეს შეიცავს, ესენია – ქრისტესისხლა, მრავალძარღვა, კრაზანა, გულყვითელა, გვირილა, ფარსმანდუკი, ევკალიპტი. ბუნებრივად ვიტამინით მდიდარ ყვითელ თაფლის სანთელს და ზეთუნის ზეთს.

სანდრო ყოჩიაშვილი მცენარეულ



შეიძლება ითქვას წამალმა თავისით იმუშავა და რეკლამის გარეშე აფთიაქებში საკმაოდ მოკითხვადი გახდა. ავადმყოფები და ექიმები ამ პრეპარატით კმაყოფილი არიან.

სანდრო ყოჩიაშვილს შესთავაზეს **მწვანე მალამოს** საზღვარგარეთ გატანა, მაგრამ ისეთი დაფასოებით, როგორც პრეპარატი დღესდღეობით იყიდება, მისი შიგთავსის ფორმის შეცვლის შესაძლებლობების გამო, შორ მანძილზე ტრანსპორტირება არ არის

ქსოვილის ჩირქოვანი დაზიანებების (ფურუნკული, აბსცესი, პანარიციუმი), დამწვრობა I, II, III ა ხარისხის, (მათ შორის ნამზეურის შედეგად განვითარებული), ახალშობილთა გამოყენების, აკნეს, სხვადასხვა ეტიოლოგიის ტროპიკული წყლულების, ნახეთქის და ბუასილის კვანძების ანთების სამკურნალოდ. ცხვირიდან სისხლდენის, დაფის აპკის ტრავმული დაზიანებების და მწვავე პერფორაციული ოტიტის, კოლოს და სხვა მწერების ნაკბენის დროს. აქტიურად გამოიყენება სტომატოლოგიაში – სტომატიტების, გინგივიტის და პაროდონტიტის დროს.

მწვანე მალამოს გააჩნია 24 საათიანი რეგენერაციის უნარი.

მალამოს გამოყენების წესები:

ჭრილობისა და დამწვრობის არეში, რომელიმე ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავების შემდეგ, ნახევრი მალამოს 2-3 მმ სისქის ფენით დღეში ერთხელ, საშვილოსნოს ყელის ეროზიისა და კოლპიტის დროს ტამპონი 12 საათში ერთხელ კეთდება.

მწვანე მალამო ოთახის ტემპერატურაზე ინახება. შენახვის ვადა ორი წელი.

მკურნალობის პერიოდში საჭირო რეკომენდაციებისთვის დარეკეთ მითითებულ ნომრებზე.

დაგვიკავშირდით:
599 50 23 41; 599 71 07 71
 ვებ.გვერდი: mtsvanemalamo fo ru



კომპონენტებს თვითონ აგროვებს, ეკოლოგიურად სუფთა ზონაში. მან კარგად იცის რომელი მცენარე, როდის უნდა მოიკრიფოს და როგორ დამუშავდეს. ამიტომ არის მკურნალობის ხარისხი გარანტირებული.

მწვანე მალამო დაპატენტებულია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში – აშშ-ში, ისრაელში, ევროპატენტი ევროპის 18 ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მისი რეკლამა მწარმოებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი, **მწვანე მალამო** სააფთიაქო ქსელში წარმატებით იყიდება.



სასურველი. ამიტომ მოლოდინშია, როცა ექნება შესაძლებლობა მალამო სპეციალურ ტუბებში მოათავსოს და ტრანსპორტირება გარანტირებული გახდეს. რაც შეეხება **მწვანე მალამოს** სამკურნალო თვისებებს, ანოტაცია ზედმინეწით ასახავს მის შესაძლებლობებს.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მალამოს ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, შეხორცების პროცესების დამაჩქარებელი და ანტიმიკრობული მოქმედება. მისი გამოყენება შესაძლებელია – ინფიცირებული და არაინფიცირებული ჭრილობების, კანქვეშა

ბებო



ისედაც მიტოვებულ სოფელში მიატოვეს ბებო. ზაფხულში ვერ მოიცალეს შვილებმა, ზოგი სამსახურს იმიზეზებდა, ისეთ ადგილებზე მუშაობდნენ, გაცდენა არაფრით არ შეიძლებოდა. შვებულება თითქმის ოთხივემ ერთად აიღო, ოჯახებით აიყარნენ და ზღვაზე წავიდნენ. იქიდან დაბრუნებულებს კი, ისევ უამრავი გადაუდებელი საქმე ელოდებოდათ თბილისში.

მთელი ზაფხული მოლოდინში გაატარა ბებომ. ერთ-თავად თვალზე სანთელივით გაყვითლებულ ხეს ირდილებდა და გზას გაჰყურებდა.

გზას გასათიბი ბალახი და შამბი მოსდებოდა, აღარც კი ეტყობოდა წესიერად. დილით, ანდა ნისლიანში რომ მოგენდომებინა გავლა ამ გზით, ისე იყო ბალახი ცვარით დამძიმებული, წელს ქვემოთ უცებ დასველდებოდი.

ბებოს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდნენ მისი შვილები, რძლები და შვილიშვილები, ამიტომ წინასწარ თადარიგს იჭერდა ნისლიან ამინდში. რამდენიმეჯერ აივლ-ჩაივლიდა გზაზე. თან ჯოხით ცვარიან ბალახს ბერტყავდა, რომ „ქალაქელები“ არ ჩაეღპო (ასე ეძახდა თავის შვილებს).

სახინკლე ხორციც რამდენჯერ გაამზადა წინასწარ. სიზმარს ნახავდა ხოლმე, რომ ყველანი სახლში იყვნენ. დილაუთენია კი, როგორც კი მამალი საგათენებლო ზარს მორთავდა, იმ წუთში ლოგინიდან წამოდგებოდა ბებო, შვილიშვილებისათვის საგულდაგულოდ ჭინჭრის ფოთლებში გახვეულ სახინკლე ხორცს კარგად გარეცხავდა, მამამთილისეული ხანჯლით წერილად დაკეპავდა და სოფელში გავიდოდა, ერთი-ორი მასავით ბებერი კიდევ იყო ამ სოფელში. იმათთან ყვებოდა ბებო თავის წუხანდელ სიზმარს.

– დღეს აუცილებლად ვინმე მოგივა, – ეუბნებოდნენ ისინი.

ბებოც მოელოდა.

– შემოგველოთ თქვენი ბებო, თქვე მამაძალღებო, თქვენა, ეგრე უნდა ბებოს დავინყება, რო ერთმა აღარ მომხედეთ.

„ქალაქელებს“ რა ყურს უგდებთ, დასხედით მანქანაზე და წამოდით. არ გიშვებენ განა? მოიცადეთ, ერთი აქ ამოვიდნენ, როგორ მივტყობო ეგენი, რომ თქვენი თავი დამანატრეს – შვილიშვილების სურათებს ეალერსებოდა ბებო.

ამაოდ გაჰყურებდა სოფლის გზას.

ამაოდ ირდილავდა თვალზე ჩამომჭკნარ ხელს.

ბინდებოდა.

გულმოკლული ბებო ხინკალს ახვევდა. თვითონ ისე შეკეროდა მოლოდინით გული, ლუკმასაც ვერ შეჭამდა, მაგრამ ამდენ ხანს ნალოლიავებელ ხინკლის გულს ისე ხომ არ გააფუჭებდა. ზაფხულობით იმათ მთებში ცხვრის ფარები იდგა და სახინკლე ხორცს ხან რომელი მწყემსი უწყალობებდა ბებოს, ხან – რომელი.

დულდა ხინკლიანი ქვაბი.

ნალველი დულდა ბებოს გულში.

მერე ხონჩაზე ამოყრილ ხინკლებს ორთქლი ასდიოდა.

მთელი სოფელი იმ ერთ პატარა ხონჩას შემოსხდომოდა და მაინც, კიდევ იყო სტუმრისთვის ადგილი დარჩენილი.

ბებოს ერთ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეში – წყლით სავსე ჭიქა. რომელსაც სუფრის თავზე ნაღმა ატრიალებდა და ილოცებოდა:

– ღმერთმა მოიხსენოს, ვისი სულიც ამ სუფრას შემოსტრიალებდეს, ამ სახის დაკლებულებისაც და ყოველი ქრისტიანისა, ვისაც ხინკალი უყვარდა, დღეს კი ცოცხლები აღარ არიან. იმათ სულის სალხინო იყოს ეს სუფრა. იმათი სული ნათელში ამყოფოს მაღალმა ღმერთმა.

– ამინ!

– ამინ! – დასტურს იძლეოდნენ მეზობლები.

ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა.

მოსვლით კი მაინც არავინ მოდიოდა.

ნელ-ნელა იწურებოდა ზაფხული.

ძლივს თიბავდა ბებო ბალახს.

მხარი სტკიოდა.

მუხლებშიც ძალა აღარ ედგა.

მალ-მალე ჩაიხვეოდა ხოლმე სათიბში და ძალას იკრებდა.

შემოდგომა რომ დადგა, ტყეში გავიდა. შვილიშვილებისათვის თხილს და ძახველს კრეფდა.

იმ წელს თბილი შემოდგომა იყო.

ოქტომბრის ბოლოს აურია ცოტა.

ბებო შეაშფოთა ამინდის გაჭირვებულებამ, საზამთრო შეშაზე დაინყო ფიქრი. ახლა უკვე შვილების მოუსვლელობაზე კი არ დარდობს იმდენად, ალბათ ვინმეს რამე უჭირსო, ის უხეთქავდა გულს.

– სად წავიდე, როგორ წავიდე, რო ესეთი საპყარი ვარ და ქალაქის გზაც არ ვიცი, – მეზობლებს შესჩიოდა ბებო.

დამოკლდა დღე და გაგრძელდა უძილო ღამეები. ზამთრის სუნი დატრიალდა ჰაერში. მუხლები აუკანკალდა ბებოს. უშეშოდ დარჩენილს ზამთრის მოახლოების შეეშინდა.

ჯერ კი მაინც იმედი ჰქონდა. გზას გაჰყურებდა. ის დღეც მოლოდინში დაღამდა. ღამე უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. დილით კი...

იმ ღამით ისეთი თოვლი მოსულიყო, სოფელში მისასვლელი გზაც კი აღარ ჩანდა. წყარომდე ძლივს გარეკეს იმ დღეს საქონელი. უშეშოდ დარჩა ბებო. დარჩა ზეცისა და მიწის ანაბარა. მიწაც თოვლით იყო დაფარული. თოვდა. გამოდარებას არ აპირებდა. თითქმის ორ კვირამდე ითოვა ასე. მეზობლების მიმოსვლა შეწყდა. საქონელს თოვლს უდნობდნენ და იმას ასმევდნენ. წყაროსაკენ გზის გამკვალავი აღარავინ იყო, თანაც ზვავისა ეშინოდათ. იმხელა თოვლი იყო, კაცმა არ იცოდა, საიდან მოვიდოდა ზვავი. ბებო აქა-იქ ეძებდა შეშის ნარჩენებს და იმით ანთებდა ცეცხლს, ცეცხლს, რომ როგორმე გაედნო თოვლი.

ღამდამობით საშინელ სიზმრებს ხედავდა: გარდაცვლილი მეუღლე ეპატიუებოდა თავისთან. ბებო უარობდა, შვილიშვილების უნახავად როგორ წამოვიდე, კაცო, რა გულმა უნდა გამიძლოს სამარეში, იმათი რომ ვერა ვიცი და ისე წამოვიდეო.

ციოდა. შიგნიდანაც შეჭირხლული იყო სახლის კედლები. რომ გამოიდარა, მზე გამოჩნდა. ცოტა დათბა. აგუგუნდნენ ზვავები. ბებო მყუდროში იჯდა და თავის დამჭკნარ ხელებს დაჰყურებდა. ფიქრობდა. ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა. იქნებ შვილებზე. იქნებ ქმარზე. იქნებ რომელიმე დღე ახსენდებოდა თავის ბალო-ბიდან.

იქნება სულაც სხვა რამეზე ფიქრობდა ბებო, მაგრამ რაზეც არ უნდა ფიქრობდნენ სიბერეში ბებოები, შვილიშვილების სახე მაინც ერთთავად თვალწინ უდგათ. ჰოდა ფიქრობდა ბებო. დღე კი ილეოდა. ბებომ საღამოს საქონელს თივა დაუყარა და რაკი ცეცხლი ვერაფრით დაანთო, ლოგინში ჩაწვა. ჩაეძინა. შუალამისას რაღაც საშინელმა ხმაურმა გამოაღვიძა. ტორტმანებდა მიწა და სახლის მიწებს ზრიალი გაჰქონდა. ლოგინში წამომჯდარი ბებო პირჯვარს იწერდა. ბნელი ღამე იყო და ფანჯარაში არაფერი ჩანდა.

მიწისძვრას დააბრალა ბებომ ეს ამბავი. ცოტა ხანში გარემო ჩაჩუმდა. დაწყნარდა სახლი. ისევე ჩასთვლიმა ბებოს. დილით მამალმა გააღვიძა. ბებომ თვალეები გაახილა და ყური მიუგდო. იქვე, სახლის ეზოში ყიოდა მამალი.

– მეღამა კი არ გამინყვიტოს ქათმები – ლოგინიდან წამოდგა ბებო და გარეთ გაიხედა.

გაოცებისგან კარგა ხანს ერთ ადგილას იდგა: მის ეზოში უზარმაზარი წიფლის ხე მოეტანა ზვავს და მის კენწეროზე მამალი ყიოდა. დანარჩენი ქათმები წიფლის ტოტებზე ისხდნენ აქა-იქ. ეტყობა, ზვავის ქარს საქათმე მოეგლიჯა და უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წიფლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი მელიის შიშით.

ბებო გაოცებას ვერ ფარავდა: ამდენი ხანი ამ სოფელში, ცხოვრობდა და არასოდეს ენახა აქ ზვავი. მამალი კი ისე ხმამაღლა და ლაღად გაჰკიოდა, თითქოს თავისი დღე და მოსწრება იმ წიფლის კენწეროზე ჰქონდა გატარებული.

ბებომ საკენკი დაუყარა ქათმებს და ისინიც რიგ-რიგობით ჩამოფრინდნენ ძირს. მარტო მამალი არ ჩამოვიდა. მზის ამოსვლამდე იჯდა წიფლის კენწეროზე და ყიოდა. რაღაცა უხაროდა ბებოს.



რა, თვითონაც არ იცოდა და ის-ის იყო ძროხების გამოშვება დააპირა მზეზე, რომ უცებ სახეგაბრწყინებული მიაჩერდა ეზოს კარებს.

ეზოში ხმაურით შემოვიდა მისი ოთხივე ბიჭი. ასეთი დიდი სიხარულის განცდა ბებოს არასოდეს არ ჰქონია.


მამალი კი ხის კენწეროზე იჯდა და ისე გადმოჰყურებდა ეზო-გარემოს, როგორც ერთადერთი მბრძანებელი თავის სამეფოსი. მხოლოდ მაშინდა იკადრა ძირს ჩამოსვლა, როცა ბიჭებმა ქურქები გაიხადეს და მოსაჭრელად მიადგნენ წიფელს.

რაღაცით სჯობდა ის დღე მოლოდინით ფერმკრთალ დღეებს.

* * *

– მე რა მინდოდა?
– გეხვენებით, გაუფრთხილდით სიმარტოვეში ეულად დარჩენილ ბებოებს.

ანექდოტები



გურულები განიხილავენ საკუთარ საქმეებს, ილუსტრაცია გაზეთიდან. 1905 წლის 28 მაისი

☺☺☺

ვისაც არ უყვარს გურია, იმისი ფასი ნულია, აქ სიყვარულის, სიკეთის და იუმორის ბუმი.

☺☺☺

გურიაში ახალი ტერმინი გამოჩნდა, ჩვენ ხომ ყველაფერი პირველებმა უნდა ევიტაცოთ (ცუდიც და კარგიც). ისეთი ქალია, კოჰაბიტაციის სურვილი აღმეძრაო!!!

☺☺☺

– ვაი დედა, ვაი დედა, რა მთავრობა მევიდა, სულ გაგვიყიდნენ ყველაფერი. გაჰკივის გურული ქალი.

- რაფა, ჩვენი იყო თუ?
- ჰკითხა გაკვირვებულმა ქმარმა.

☺☺☺

გურულები ხიდს აშენებენ... ერთმა თქვა – მოით 1000 მეგრული დავაყენოთ ზეთ და თუ არ ჩატყდა, მაშინ კაი იქნება.

- კი მარა რომ ჩატყდეს?
- ოოო, მაი თლა კაი...

☺☺☺

– გახსოვს, რომ ვნატრულობდით... ნეტა საქართველოში იმფერ ცხოვრებას მევესწრებოდეთ, პრეზიდენტის სახელი და გვარი დაგვაინწყდესო.

- კი, მახსოვს.
- ჰოდა, მაი კი აგვიხდა, მარა რა იყო მაქანე სანატრელი, ველარ მივხითი.

☺☺☺

რალაც საქმეზე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბლაში ვიყავით, ერთ-ერთი ჩვენი თანმხლები, რომელიც დაინტერესებული იყო ტოპონიმ „ქვაბლის“ წარმომავლობით, სოფლის ცენტრში ჩამომჯდარ მოხუცებთან მივიდა და ჰკითხა:

- ბაბუა ამ ადგილს რეიზა ჰქვია ქვაბლა?

– ზოტიდან და ნახელავიდან რომ გაარჩიონ ბაბუა იმიზა.

☺☺☺

– ახლა ჩვენს მეგობარს გოუმარჯოს, ჩვენ ხომ ვართ მეგობრები? – ეკითხება ერთი გურული მეორეს.

– შენ შეგიძლია, ჩემი გულობიზა თავი მეიკლა ჩემ მაგივრად?

– მეიცა, რაფა შენ არ გცალია თუ?

☺☺☺

გურულებს ქალები ცამდე აჰყავთ, აღმერთებენ. ჩვენში გოგო-ცა. ამაზე კარგი სადაც გინდა იქ იყოს, ვისაც უნდა, იმან მოიგონოს.

☺☺☺

ქართული ხმები მიდიან კონცერტზე ფოთში, სულიკოს (მძლოლი) უყვარდა დინჯი სიარული. ზაური სულ უკან ზის, სულიკოს გვერდით გივი ჭიჭინაძეა, გივიკო აძალებს მძლოლს, ჩქარა იარეო. ისიც უმატებს გაზს. ზაურმა დაიძახა უკნიდან. რა იყო, რას აძალებ მაგ კაცს, კარგად მიდიხარ. გივიმ არ დავაგვიანოთო, თან ხომ უნდა ჩავიცვათო. ზაურმა – არ ჯობია ჩვენი ჩვეიცვათ?

☺☺☺

ანზორ ერქომაიშვილი – ბაბუა

ბაბუას წლების განმავლობაში ღვიძლის ტკივილი სტანჯავდა...

ოპერაცია ჩვენმა ახლობელმა დასტაქარმა, ნესტორ თოიძემ გაუკეთა. ის არ დააძინეს. ნესტორი ლილინებდა (ჩვეულება ჰქონია ასეთი). ბაბუა აუტანელ ტკივილს იტანდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, როცა ნესტორმა ოპერაცია დაასრულა, ბაბუას უთხრა:

– რკინის კაცი ყოფილხარ არტემ ბიძია, ხომ გადაგარჩინე, სამაგიეროდ სიმღერა უნდა მასწავლოო.

– შენ ლილინს რომ ვუსმენდი ჩემო ნესტორ, დავრწმუნდი, შენთვის სიმღერის სწავლებას, სჯობს კიდევ ერთი ოპერაცია გადავიტანო – უპასუხა ბაბუამ.



ავთორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „ხელოვნების და მეცნიერების აკადემია“

გსურთ იყოს წარმატებული?
გაქვთ ამბიციის?

გსურთ მიიღოთ საფუძვლიანი განათლება?
ისწავლეთ ჩვენთან, მიიღეთ სახელწიფოს მიერ
აღიარებული დიპლომი და გახდით პროფესიონალი!

მიღება ცხადდება შემდეგ სპეციალობებზე:
9 კლასის განათლების ბაზაზე:

- კორესპონდენტი – 800 ლ
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი – 1100 ლ
- კრიმინალისტი III საფეხური – 1300 ლ

სრული ზოგადი განათლების ბაზაზე:

- გიდი – 1200 ლ
- მონტაჟის რეჟისორი:
- IV საფეხური – 1400 ლ
- V საფეხური – 1500 ლ
- ქორეოგრაფ-რეპეტიტორი – 1500 ლ
- მუსიკოს-რეპეტიტორი – 3000 ლ (თანხა მოიცავს 2 სასწავლო წელს)
- საესტრადო მუსიკის შემსრულებელი – 1600 ლ
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი – 1500 ლ
- კრიმინალისტი:
- IV საფეხური – 1400 ლ
- V საფეხური – 1500 ლ
- დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი – 2000 ლ (თანხა მოიცავს 2 სასწავლო წელს)
- სასცენო ხელოვნების ოსტატი - (სამსახიობო) 1500 ლ

www.xma.edu.ge

მის: წერეთლის გამზირი №1

ტელ: 555 555 951; 598 331 951



სასტუმრო ბანაშანო



ISSN 2346-7606



9 772346 760009

საკონტაქტო ტელეფონები:
599 70 21 21; 598 26 62 00